



სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს
სახელმწიფო მინისტრის აპარატი
სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია

იანვარი
2019 წელი



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს
სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის
სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო
გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი

2019 წ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
მისამართი: თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. № 7
ტელეფონი: (+995 32) 2923299; (+995 32) 2922632
ვებ-გვერდი: www.smr.gov.ge
ელ-ფოსტა: press@smr.gov.ge

შესავალი	5
რეზიუმე - სტრატეგიის ამოცანების შესრულების მოკლე მიმოხილვა	6
სტრატეგიული მიზანი 1	10
თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში	10
სტრატეგიული მიზანი 2	37
თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა	37
სტრატეგიული მიზანი 3	43
ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება	43
სტრატეგიული მიზანი 4	58
ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება	58
რეკომენდაციები	67
დანართი 1	71

შესავალი

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს. ამ პოლიტიკის განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობამ 2015 წლის აგვისტოში დაამტკიცა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“. სახელმწიფო პოლიტიკა მიზნად ისახავს სამოქალაქო თანასწორობის უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაზრდას, ხარისხიან განათლებაზე წვდომის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, მათი კულტურის მხარდაჭერასა და ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, განხორციელებასა და ანგარიშგებას.

2018 წლის განმავლობაში გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესი; განხორციელდა სტრატეგიით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიებები და დაიგეგმა დამატებითი აქტივობები შემდეგი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად:

- ❖ თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ❖ თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ❖ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ❖ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელმძღვანელობს ზემოაღნიშნული სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილი სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობას. კომისიის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე ცესკოსა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. სტრატეგიისა და სამოქმედო

გეგმის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო.

წინამდებარე ანგარიში, რომელიც მომზადდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, ასახავს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში სახელმწიფო უწყებების მიერ 2018 წლის სამოქმედო გეგმით (იანვარი-დეკემბერი) განხორციელებულ ღონისძიებებს.

რეზიუმე - სტრატეგიის ამოცანების შესრულების მოკლე მიმოხილვა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების ფარგლებში გამოიკვეთა შუალედური მიზნები, შესაბამისი ამოცანები და ამ ამოცანების შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებები და პროექტები. 2018 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო:

- ❖ 4 სტრატეგიული მიზანი;
- ❖ 14 შუალედური მიზანი;
- ❖ 19 ამოცანა.

ამოცანების განხორციელებისთვის პროფილურმა სამინისტროებმა განსაზღვრეს ქვეამოცანები, დაგეგმეს პროექტები/პროგრამები და ღონისძიებები. საანგარიშო წლის განმავლობაში გასულ წელთან შედარებით განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის ხელშეწყობის და მათი სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებითაც. აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო მათ წინაშე მდგარ ისეთ გამოწვევაზე პასუხს, როგორიცაა განათლებაზე ხელმისაწვდომობა. გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ენების სწავლება საჯარო სკოლებში. გამოიკვეთა ენის შესწავლის (მაგალითად, ოსური ენის) ინტერესის მზარდი ტენდენცია. ასევე, პრიორიტეტულ ამოცანად განისაზღვრა პანკისის ხეობის განვითარება. არაფორმალური განათლების მეშვეობით ხელი შეეწყო საქართველოს საჯარო სკოლებში, საგანმანათლებლო პროცესში ბოშა ახალგაზრდების ჩართულობას, რის შედეგადაც მათი რაოდენობა 2015 წლიდან (5 ბოშა) მოყოლებული გაიზარდა 263-მდე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა ბოშა მოსახლეობის რეგისტრაციის საკითხი. 2011-2018 წლებში დარეგისტრირდა 75 ბოშა. საანგარიშო წლის განმავლობაში დამატებით დარეგისტრირდა 2 პიროვნება. ბოშა მოსახლეობას გაეწია ასევე უფასო იურიდიული კონსულტაცია.

პანკისის ხეობის განვითარების პროგრამის შემუშავების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჯერ კიდევ, 2017 წლის მაისიდან, მოსახლეობის ინტერესებიდან და ხეობის განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე დაიწყო ამ მიმართულებით მიღწეული შედეგების შეფასება და საჭიროებების კვლევა. ამ მიზნით, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ ფარგლებში შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, 2018 წელს მომზადდა პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა და იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. გაიმართა შეხვედრები და კონსულტაციები პანკისის ხეობის მოსახლეობასთან, უხუცესთა საბჭოსა და ქისტ ქალთა საბჭოს წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებთან, სამოქალაქო სექტორის იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც ხეობის პრობლემატიკასა და განვითარების საკითხებზე მუშაობენ, და სხვა დაინტერესებულ პირებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხეობის მოსახლეობისათვის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. წარიმართა ინტენსიური საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც პირველად პანკისის ხეობის მოსახლეობისათვის, კერძოდ კი, საჯარო სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის დაიგეგმა და განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ქ. ბრიუსელში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაიმართა საინფორმაციო ხასიათის არაერთი შეხვედრა, სადაც ყურადღება იყო გამახვილებული მათ შორის გენდერული თანასწორობის, ადრეული ქორწინების, ოჯახში ძალადობის, რეფერირების მექანიზმების შესახებ. გაგრძელდა პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისთვის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მოხალისე განმანათლებლებმა 15 მუნიციპალიტეტის (8 ახალი მუნიციპალიტეტი დაიფარა) 66 სოფელში გამართეს 200 შეხვედრა, რომელშიც ჩართული იყო 6300 ბენეფიციარი). ახალგაზრდა ტრენერები ინფორმაციას აწვდიდნენ მოსახლეობას ასევე რეგიონული ცენტრებიდან მომორეზულ ადგილებში. დაგეგმილი 50% ჩართულობის გაზრდის ნაცვლად, მოხდა 90% -ით ზრდა როგორც დაფარვის არეალის, ისე ბენეფიციართა რაოდენობის თვალსაზრისით. მოქნილი, დონორის მიერ არსებული საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა რეგიონში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანი იყო ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების საკითხი - ამ მიზნით, პირველად განხორციელდა სასწავლო ტრენინგ-კურსი „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“ ქვემო ქართლში მცხოვრები ქალებისთვის; ტრენინგმა ხელი უნდა შეუწყოს მათ მიერ კონკრეტული ბიზნეს პროექტების მომზადებასა და წარდგენას.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდა სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმანის უზრუნველყოფა. ადგილობრივ დონეზე ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაზრდის მიზნით გაძლიერდა სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციაში არსებული

საკონსულტაციო საბჭოები, რაც ხელს უწყობს მათ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურში ჩართულობის გაზრდისა და პროფესიული განვითარების მიზნით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის დაინერგა სტაჟირების პროგრამა, რამაც გაზარდა ინტერესი/მოტივაცია მათში, ხელი შეუწყო პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, ჩართულობას და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს. 2018 წელს სტაჟირების პროგრამაში ჩართული მონაწილეთა რაოდენობა გაორმაგდა და შეადგინა 142.

2018 წელს საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევნის გაკეთების უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით გატარდა კონკრეტული ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების არჩევნებში სრულფასოვან და თანაბარ მონაწილეობას. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობებში არჩევნებზე და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას, იყო მხარდაჭერილი.

ეთნიკური უმცირესობების მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა არის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო შვიდენოვანი ვებ-გვერდის (www.1tv.ge) ამოქმედება.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში წარმართა ინტენსიური ფართომასშტაბიანი საინფორმაციო-ცნობიერების ამაღლების კამპანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის რეგიონებში, რომლის ფარგლებშიც მათ მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე, ასევე ადამიანის უფლებებზე, ანტიდისკრიმინაციაზე, ქალთა უფლებებზე; განათლების, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის საკითხებზე. 2018 წლის განმავლობაში 300 ზე მეტი შეხვედრა ჩატარდა საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა როგორც რაიონულ ცენტრებში, ისე მოშორებულ დასახლებებში.

სხვადასხვა პროექტების, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების გზით ხელი შეეწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. (დანართი 1)

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. 6 ჯერ გაიზარდა „1+4“ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, ხელი შეეწყო არაქართულენოვანი საჯარო სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ამოქმედდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება. განათლების თითოეულ საფეხურზე გაგრძელდა იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას. სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით მიმდინარე პოლიტიკას, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე აქტორების ჩართულობის კუთხით, კომპლექსური ხასიათი აქვს. ამასთანავე, გაფართოვდა ბენეფიციარების სეგმენტი და თუ აქამდე, ქართული ენის სასწავლო სახელმწიფო სასწავლო პროგრამები მხოლოდ საჯარო მოხელეებზე იყო მიმართული, ქართული ენის სწავლების პროგრამები და კურსები სხვადასხვა დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი გახდა. საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების დიფერენცირება მოხდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების საჭიროებების მიხედვით. პროგრამებში ჩართვის საშუალება აქვს ნებისმიერი სეგმენტის წარმომადგენელს. ასევე, ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ჩაერთვნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულები და ახალქალაქისა და ნინოწმინდის სომხური სამოციქულო მართლმადიდებლური ეპაქრიის სასულიერო პირები და მრევლი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში განხორციელდა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქართული ენა A1, A2, B1 და B2 დონეზე სწავლება გაიარა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უპრეცედენტო რაოდენობამ - 3400 წარმომადგენელმა, შეიქმნა 246 სასწავლო ჯგუფი, მათგან 171 - მობილური ჯგუფი ადგილზე ემსახურებოდა ბენეფიციარებს 10 ქალაქსა და 67 სოფელში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

გაგრძელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურისა და იდენტობის შენარჩუნების მიზნით კონკრეტული პროექტების/ღონისძიებების განხორციელება, რამაც ხელი შეუწყო კულტურათაშორის დიალოგს და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებას.

საანგარიშო პერიოდში არაერთი ინიციატივა და სიახლე განხორციელდა სამოქალაქო ინტეგრაციის სხვადასხვა მიმართულებებით, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ჩართულობის გაუმჯობესების კუთხით.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ცალსახად გამოიკვეთა ეთნიკური უმცირესობების გახსნილობა და მზარდი ინტერესი მათი ჩართულობის მიმართულებით. ასევე, სახელმწიფო უწყებების მიმართ გამოვლინდა ნდობის და ინფორმაციის მიმღებლობის გაზრდა, რაც, დადებით გავლენას ახდენს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებზე.

წლის განმავლობაში, სამოქმედო უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართვის, სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე მათი ინფორმირებულობის/ცნობიერების ამაღლების, ასევე სამოქალაქო მედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

სტრატეგიული მიზანი 1

თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები:

- ❖ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობის გაუმჯობესება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;
- ❖ მათი მონაწილეობის/ჩართულობის გაუმჯობესება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ❖ ისეთ პოლიტიკურ პროცესებში, როგორიც არის არჩევნები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრული და თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- ❖ სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა ინფორმაციასა და მედიაზე, საზოგადოებრივ სერვისებზე, სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით;
- ❖ მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა;
- ❖ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების უფლებების დაცვის ხელშეწყობა და მათი გაძლიერება;

შუალედური მიზანი - 1.1. მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა
ამოცანა - 1.1.1 მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

მოცემული ამოცანის ფარგლებში გამოკვეთილია შემდეგი მიმართულებები:

- ❖ მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების იდენტობის დაცვის ხელშეწყობა;
- ❖ ბოშების რეგისტრაციის უზრუნველყოფა;
- ❖ ბოშა ახალგაზრდების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვა

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლის განხორციელებაშიც ჩართული არიან დარგობრივი სამინისტროები.

2018 წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) განსაზღვრულ საჯარო სკოლებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ბოშათა თემის წარმომადგენლების გაძლიერებისა და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვრა სტრატეგიული ამოცანები. მათ გადასაჭრელად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის, „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით“ პროგრამის ფარგლებში 2017-2018 წლებში განხორციელდა არაერთი პროექტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბოშა ახალგაზრდების მიერ ბოშების სოციალიზაციის მიმართულებით ინიცირებული პროექტები. მათგან დაფინანსდა 6 პროექტი, საერთო ღირებულებით - 24 464 ლარი, რომელშიც ჩართული იყო 54 ახალგაზრდა და 111 მოხალისე მოსწავლე და ახალგაზრდა.

არაფორმალური განათლების კომპონენტების გაძლიერებამ ხელი შეუწყო ბოშების ჩართულობას ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში. 2018 წელს, სკოლებში სწავლობს 263 ბოშა მოსწავლე.

1.1.1.1 დაბადების ან პირადობის არმქონე ან ხარვეზიანი დოკუმენტების მქონე პირებისათვის მოწმობების გასაცემად სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს მათ დოკუმენტირებას

ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისათვის, როგორც არიან ბოშები კვლავ გამოწვევად რჩება მათი რეგისტრაციისა და შესაბამისი იურიდიული სტატუსის მინიჭების საკითხი.

2018 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტრომ, პროექტის „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში ბოშათა თემის 2 წარმომადგენლისათვის უზრუნველყო საიდენტიფიკაციო მონაცემების მოწესრიგება და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა;

„ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბოშათა რეგისტრაციის სტატისტიკურ მონაცემები 2011-2018 წლებში შემდეგია:

საქმისწარმოების კატეგორია	2011-2018
საქართველოს მოქალაქეობის მიღება	1
საქართველოს მოქალაქეობის დადგენა (ID ბარათი)	17
მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა	18
დაბადების ფაქტის დადგენა/რეგისტრაცია	39
ჯამი	75

1.1.1.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს ეფექტიანი მუშაობა

საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოში ჩატარდა საბჭოს 11 სხდომა, რომელზეც 38 საკითხი იქნა განხილული. საბჭოს ორგანიზებით, ქ. თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უფასო სამედიცინო გამოკვლევების ოთხი აქცია გაიმართა, რომლის

ფარგლებშიც 350-მდე წარმომადგენელმა მრავალპროფილური გამოკვლევებითა და კონსულტაციით უფასოდ ისარგებლა.

წლის განმავლობაში, თბილისის საკრებულოსა და ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს ხელშეწყობით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 20 სტუდენტი ქ. თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ თემატურ ბანაკებში იყო ჩართული.

1.1.1.3. ქალაქ ბათუმში მოქმედი ეთნიკური ორგანიზაციებისათვის მუნიციპალური პროგრამების შესახებ პრეზენტაციების მოწყობა და ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე არსებული სახელმწიფო პროგრამების მიწოდება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, „მეგობრობის სახლში“ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მუნიციპალური პროგრამების შესახებ ჩატარდა პრეზენტაცია.

1.1.1.4 საქართველოში მრავალფეროვანი მემკვიდრეობის თემატური კვლევები

- ❖ „თრიალეთის ბერძნული ძეგლების ინვენტარიზაცია“;
- ❖ "სამცხე-ჯავახეთის კათოლიკური ძეგლების" ინვენტარიზაცია;
- ❖ პოლონური მემკვიდრეობის კომპლექსური კვლევა-ინვენტარიზაციის დაწყება.

იდენტიფიცირებულია პოლონელ არქიტექტორთა და ინჟინერთა პროექტებით აგებული 40-მდე შენობა, პოლონელი მხატვრების 400-მდე ნამუშევარი, პოლონელების საქმიანობის საარქივო მასალა - 300 დოკუმენტი, პოლონელების კუთვნილი ან მათთან დაკავშირებული 50-მდე შენობა, ნუმიზმატიკური მასალა, პოლონელთა სასაფლაოები: თბილისის კუკიის კათოლიკეთა სასაფლაო; ქუთაისის, ბათუმის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, თეთრიწყაროს, მანგლისის, ფიტავის, ურავლის და სხვა.

1.1.1.5 მუდმივმოქმედი ექსპოზიცია ბოლნისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ - ბოლნისის მუზეუმი

წლის განმავლობაში ბოლნისის მუზეუმში წარიმართა 2019 წელს დაგეგმილი ექსპოზიციის მოსამზადებელი პროცესი. ექსპოზიცია ითვალისწინებს ქვემო ქართლის ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობას წარმოჩენას.

1.1.1.6 საქართველოში არსებული ებრაული მატერიალური კულტურის ძეგლების მოძიება და ექსპონირება მუზეუმში

2018 წელს დაიწყო სამუშაოები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - „ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიცია“ – „იუნესკოში“ წარსადგენი განაცხადის მოსამზადებლად.

1.1.1.7 ებრაული და ქართული საზოგადოებრიობისა და ორგანიზაციების, შემოქმედებითი და სამეცნიერო სფეროების წარმომადგენელთა ტრადიციული შეხვედრების მოწყობა

დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმმა, ქართველ და ებრაელ ხალხთა 26-საუკუნოვანი მეგობრობის საზოგადოებამ და მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაცია „ესთამ“ ებრაული და ქართული ორგანიზაციების, შემოქმედებითი და სამეცნიერო სფეროების წარმომადგენლების მონაწილეობით 20-მდე შეხვედრა გამართა. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ქართულ-ებრაული ხელოვანებისა და მეცნიერების წარმომადგენლები.

დამატებითი ღონისძიება

- ❖ საქართველოს ლატვიელთა სათვისტომოს „ავე სოლის“ ინიციატივით „თბილისის მეგობრობის სახლში“ ლატვიური ენის შემსწავლელი საკვირაო სკოლა გაიხსნა. ლატვიურ ენას 7-10 წლის კატეგორიის 12 ბავშვი სწავლობს.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პანკისის ხეობის განვითარების საკითხებზე. მომზადდა

პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა

პანკისის ხეობის განვითარების პროგრამის შემუშავების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ჯერ კიდევ, 2017 წლის მაისიდან, მოსახლეობის ინტერესებიდან და ხეობის განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე დაიწყო ამ მიმართულებით მიღწეული შედეგების შეფასება და საჭიროებების კვლევა. ამ მიზნით, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის“ ფარგლებში შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, 2018 წელს მომზადდა პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა და იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კონკრეტული აქტივობები, მათ შორის:

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით წარიმართა საინფორმაციო კამპანია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ. პანკისის ხეობის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია, მათ შორის, საგანმანათლებლო შესაძლებლობების, პროფესიული განათლების და დასაქმების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამებისა და სიახლეების, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საკითხების შესახებ.
- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ერთობლივი ინიციატივით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, პირველად განხორციელდა პანკისის ხეობის ქალების ცნობიერების ამაღლებასა და ჩართულობის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროექტი - „ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ“. პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში დაგეგმილ ორდღიან სემინარში მონაწილეობა მიიღეს პანკისის ხეობის საჯარო სკოლების პედაგოგმა და დირექტორმა ქალბატონებმა (20 ადამიანი), რომელთაც საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური

ინტეგრაციის პროცესის შესახებ, ემსჯელათ და განეხილათ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, ჩართულიყვნენ კულტურულ პროგრამაში, დაეთვალისწინებინათ საქართველოს დედაქალაქი. პროექტის მეორე ეტაპზე, 2019 წელს გათვალისწინებულია მონაწილეთა სასწავლო ვიზიტი ქ. ბრიუსელში, სადაც ისინი შეხვდებიან ევროპელ კოლეგებს და გაეცნობიან საგანმანათლებლო სისტემას.

ვაინახური კულტურის პოპულარიზაციისა და კულტურული დიალოგის გაძლიერების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მხარდაჭერილ და განხორციელებულ იქნა რიგი ღონისძიებები:

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ქალთა კავშირ „კავკასიელ ქალთა კონგრესის“ ორგანიზებითა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით ქისტი განმანათლებლისა და სასულიერო მოღვაწის, მათე ალბუთაშვილის დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მიძღვნილ ხსოვნის საღამო გაიმართა.
- ❖ მწერლის, განმანათლებლისა და სასულიერო მოღვაწის, მათე ალბუთაშვილის დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე: „მათე ალბუთაშვილის ბიოგრაფიული შტრიხები და შემოქმედება: პანკისის ხეობა დროისა და სივრცის ჭრილში“. კონფერენციაში მონაწილეობა ქ. თბილისისა და სოფლების: დუისის, ჯოყოლოსა და ჩარგლის სკოლების ოცმა მოსწავლემ მიიღო;
- ❖ ვაინახური კულტურის დღეები - სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ქ. ფოთის „ახალი საქართველოს უნივერსიტეტის“ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი პროგრამა - შესრულდა მუსიკალური ნომრები, ჩატარდა საჯარო ლექცია ქისტი ხალხის ფენომენზე ქართულ სინამდვილეში და ქართულ-ვაინახურ ურთიერთობებზე, გაიმართა ვაინახურ თემაზე შექმნილი წიგნების პრეზენტაცია;
- ❖ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ქისტი მწერლისა და პოეტის, მაია მარგოშვილის წიგნის პრეზენტაცია.
- ❖ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სხვენში პანკისის ხეობის სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ დადგმული სპექტაკლის - "ღია შუშაბანდი" ჩვენება გაიმართა. მასში დამამთავრებელი კლასების 10-მდე მოსწავლე მონაწილეობდა;
- ❖ პანკისის ხეობის სოფელ დუისში ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიგი ხორნაულის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მისი წიგნების პრეზენტაცია, რომელშიც შესულია მოთხრობები ქისტებზე;
- ❖ სოფელ დუისში გაიმართა დუი დიშნელის სახელობის დოღი, რომელიც მიეძღვნა ქისტების პანკისის ხეობაში დასახლების 200 წლის თავს, დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები;
- ❖ „ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში განხორციელდა გაცნობითი ტური დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროექტის „ახალგაზრდა ევროპელ ელჩების“ მონაწილე თანატოლგანმანათლებლებმა და მოსწავლეებმა პანკისის ხეობიდან;
- ❖ მოსწავლეები პანკისის ხეობიდან ასევე ეწვივნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, სადაც გაეცნენ სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით არსებულ ვითარებას და იმსჯელეს მათთვის საინტერესო ინიციატივებზე.

შუალედური მიზანი: 1.2 გენდერული მენისტრიმინგი

ამოცანა: 1.2.1 გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა

წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიის საქმიანობაში ჩართულმა სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს კონკრეტული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

- ❖ ქალთა უფლებების/გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ❖ ოჯახში ძალადობა/ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ❖ ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;

წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემატიკაზე ინტენსიურ რეჟიმში იმართებოდა შეხვედრები. გაფართოვდა შეხვედრების არეალი და ბენეფიციართა რიცხვი. ზემოაღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით 2018 წელს განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების (30) გადამზადება, რომელთაც გაავრცელეს ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

2018 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარებას, რის შედეგადაც მათ მოამზადეს კონკრეტული საპროექტო წინადადებები.

1.2.1.1 ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში შემავალ ქალთა ოთახებში - ტრენინგები ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, ქალთა ძალადობის შემცირებაზე და პრევენციაზე, ასევე მათ უფლებებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობაზე; მეწარმეობის ფორუმში ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალების ჩართულობა

ქვემო ქართლის რეგიონში აქტიური საქმიანობა განაგრძო „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში შექმნილმა „ქალთა ოთახებმა“. ზემოაღნიშნული მუნიციპალური მომსახურება ფუნქციონირებს რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტში, რომლის მიზანია ქალებისათვის საინტერესო, საჭირო ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ, მათი ჩართულობის ხელშეწყობისათვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის გლობალური პროგრამის ფარგლებში, „ქალთა ოთახებში“ გაიმართა შეხვედრები თემაზე - „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და პრევენცია“. ძალადობის პრევენციის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, ექვს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ღონისძიებები და აქტივობები, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

წლის განმავლობაში ქალთა ოთახებში ჩატარებული შეხვედრების სტატისტიკა:

- ბოლნისის მუნიციპალიტეტი - 16 შეხვედრა; 8 ტრენინგი; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 52 ბენეფიციარი;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი - 11 შეხვედრა, 6 ტრენინგი; 175 ბენეფიციარი;
- დმანისის მუნიციპალიტეტი - 5 შეხვედრა, 2 ტრენინგი; 38 ბენეფიციარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტი - 12 შეხვედრა, 10 ტრენინგი, 140 ბენეფიციარი;
- წალკის მუნიციპალიტეტი - 18 შეხვედრა, 4 ტრენინგი, 40 ბენეფიციარი;
- მარნეულის მუნიციპალიტეტი - 40 შეხვედრა, 8 ტრენინგი, 278 ბენეფიციარი;

რეგიონის მასშტაბით „ქალთა ოთახების“ ფარგლებში, წლის განმავლობაში გაიმართა 156 შეხვედრა, ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: ადრეული ქორწინება, ოჯახში ძალადობა, გენდერული თანასწორობა და სხვა. ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგ-კურსები: ადამიანის უფლებათა დაცვის, მცირე და მიკრო ბიზნესის განვითარების, კომუნიკაციის, ლიდერობის, ბიზნესის განვითარების და სხვ., რომელშიც ჩართული იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 740 ქალი.

„ქალთა ოთახების“ საქმიანობის ფარგლებში უფასო სამედიცინო კვლევებით და კონსულტაციებით ისარგებლა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 300 ქალმა.

დმანისის მერიის ქალთა ოთახში განხორციელდა ფინანსური მენეჯმენტის შემსწავლელი უფასო 3 თვიანი კურსი, რომლის მიზანი იყო ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. კურსში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა სამმა ქალმა.

1.2.1.2 კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში შექმნილი ქალთა ოთახების საქმიანობის ხელშეწყობა

2017 წელს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერს“-ს და „მერსი კორპსი“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2018 წელს კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმულანლოში შეიქმნა მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის მერიის, თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, თელავის „ქალთა ოთახი“-ს, გაეროს მოსახლეობის ფონდისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ვიქეა“/WeCare-ს პროგრამის „კაცები ზრუნავენ“ ორგანიზებით სოფელ ყარაჯალაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა კაცების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებაში.

„ქალთა ოთახის“ ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა თემებზე, მათ შორის: „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის“, ასევე სოციალური სერვისებისა და სახელმწიფო პროგრამების (ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის) თაობაზე. „ქალთა ოთახის“ მენეჯერების ინიციატივით ჩატარდა ღონისძიება „ერთი მზის ქვეშ“, რითაც ხელი შეეწყო კულტურათაშორის დიალოგს, შეიქმნა ე.წ. „ტოლერანტული კოსტუმის“ ესკიზი. გურჯაანის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“-ს ინიციატივით სოფელ ყიტაანში ჩატარდა შეხვედრები თემებზე:

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, ადრეული ქორწინება და ბულინგი, სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერება.

1.2.1.3/1.2.1.6 სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში შექმნილი ქალთა ოთახების საქმიანობის ხელშეწყობა;

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „ქალთა ოთახები“, რომელთა ინიციატივით და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძევა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა აქტიურობის გაზრდისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით. მოეწყო შეხვედრები ფერმერ ქალებთან, მეწარმე ქალებთან, აგრეთვე ჩატარდა ტრენინგები, სკრინინგ პროგრამის, ოჯახური ძალადობის, ტრეფიკინგის, ადრეული ქორწინების პრევენციის, ქალთა პოლიტიკური აქტივობის გაზრდის და ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარების საკითხებზე; წლის განმავლობაში რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტში ჩატარდა 46 შეხვედრა (628 ბენეფიციარი).

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენელი აქტიურ კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტებში შექმნილ გენდერულ საბჭოებს. ამ კუთხით საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო მხარის ადმინისტრაციის მოწვევით საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-ის მიერ ჩატარებული ტრენინგების ციკლი გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე.

1.2.1.5 საკონკურსო კომისიების შემადგენლობაში ქალი საჯარო მოხელეების ჩართულობის უზრუნველყოფა

როგორც სამხარეო ადმინისტრაციის, ისე მუნიციპალიტეტებში საკონკურსო კომისიებში ქალი წევრების რაოდენობა დაბალანსებულადაა წარმოდგენილი. გასულ წელს სამხარეო ადმინისტრაციაში საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე 2-ჯერ იყო ქალი.

მუნიციპალიტეტებში საკონკურსო კომისიებში წევრებად, ასევე ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში თავმჯდომარეებად დასაქმებული იყვნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

1.2.1.8-1.2.1.10

- ❖ აკადემიის IV კურსის იუნკერებისთვის შეფასებადი ლექცია (4 სთ) გენდერული თანასწორობის პრინციპებზე;
- ❖ I კურსის იუნკერებისათვის გაცნობითი სახის ტრენინგი (2სთ) გენდერული თანასწორობის პრინციპებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ;
- ❖ 2018-2019 აკადემიური წლისათვის აკადემიაში ჩარიცხული მსმენელებისთვის გენდერული თანასწორობის პრინციპების გაცნობითი სახის ტრენინგი (2 სთ)

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია მხარს უჭერს გენდერული თანასწორობისა და ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპების ინტეგრირებას, რომელიც ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ქალთა საინფორმაციო

ცენტრის მხარდაჭერით. ეროვნული თავდაცვის აკადემიის, როგორც საბაკალავრო, ისე საკარიერო სკოლების სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლებში ჩარიცხულ ყოველ ახალ ნაკადს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უტარდება სწავლებები თემაზე: „გენდერული თანასწორობის პრინციპები და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები“.

2018 წლის განმავლობაში შეფასებითი ლექცია გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ჩაუტარდა IV კურსის 88 იუნკერს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. ხოლო, 2017-2018 სასწავლო წელს ჩატარდა ორ საათიანი ტრენინგი „გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების“ შესახებ.

1.2.1.11 სასწავლო პროგრამები და ტრენინგები გენდერულ თემატიკაზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პოლიციის თანამშრომლებისათვის

სამართალდამცავების მხრიდან დანაშაულის ფაქტზე ეფექტიანი რეაგირებისა და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად 2018 წლის 11 იანვარს შეიქმნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც მონიტორინგს უწევს შემდეგი საქმეების გამოძიებას:

- ❖ ოჯახური დანაშაული;
- ❖ ქალთა მიმართ ძალადობა;
- ❖ დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაული;
- ❖ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული;
- ❖ ტრეფიკინგი;
- ❖ არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაული.

დეპარტამენტის მიერ:

- ❖ შემუშავდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენასა და გამოძიებაში არსებული ტენდენციების და გამოწვევების ამსახველი ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც გასაცნობად გაეგზავნა შსს ოპერატიულ დანაყოფებს;
- ❖ დაიწყო მუშაობა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების გაუმჯობესების მიზნით;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამომძიებელთა სპეციალიზაციის პროცესი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების მიზნით. პირველ ეტაპზე, სასწავლო კურსის განმავლობაში განხორციელდა იმ ტერიტორიული ერთეულების გამომძიებელთა სპეციალიზაცია, სადაც ყველაზე მაღალია ოჯახური დანაშაულის მაჩვენებელი, თუმცა, სპეციალიზაციის კურსი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა საგამომძიებო სტრუქტურას მოიცავს. 2018 წლის იანვარი - დეკემბრის პერიოდში, ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის გამოძიების საკითხებზე სპეციალური მომზადების კურსი გაიარა 110-მა გამომძიებელმა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სპეციალიზებული კურსი გაიარა 13-მა გამომძიებელმა შემდეგი მუნიციპალიტეტებიდან:

- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი - 3 გამომძიებელი
- ახალციხის მუნიციპალიტეტი - 2
- მარნეულის მუნიციპალიტეტი - 2
- გარდაბნის მუნიციპალიტეტი - 2
- ადიგენის მუნიციპალიტეტი - 1

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - 1
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი - 1
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი - 1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაცია ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელთან თანამშრომლობით და გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაფინანსებით, განაგრძობს სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლებას ქალთა ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებზე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, პოლიციელთა სწავლება იმართება საქართველოს ყველა რეგიონში. 2018 წლის იანვარი - დეკემბრის მდგომარეობით სწავლების კურსი გაიარა 325-მა პატრულ ინსპექტორმა და უბნის ინსპექტორმა. მათ შორის, გადამზადდა 25 უბნის ინსპექტორი მარნეულიდან და ხოლო, 25 უბნის ინსპექტორი ასპინძიდან. 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ზემოხსენებული სწავლება გაიარა 50 ჯგუფმა, 797 მსმენელმა (მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 15 მსმენელი)

- ❖ პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 63 მსმენელი. მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 2 მსმენელი (სომეხი და აზერბაიჯანელი);
- ❖ უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ჯგუფი, 65 მსმენელი. მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 2 მსმენელი (უკრაინელი და იეზიდები);
- ❖ დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 75 მსმენელი. მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 1 მსმენელი (აზერბაიჯანელი);
- ❖ დროებითი მოთავსების იზოლაციორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსი - 8 ჯგუფი, 119 მსმენელი; მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 1 მსმენელი (სომეხი);
- ❖ სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 6 ჯგუფი, 90 მსმენელი; მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 4 მსმენელი (1 რუსი, 2 აზერბაიჯანელი, 1 სომეხი);
- ❖ კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცრის გადამზადების კურსი - 4 ჯგუფი, 66 მსმენელი;
- ❖ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა - 7 ჯგუფი, 123 მსმენელი. მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 3 მსმენელი (აზერბაიჯანელი);
- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსის სასწავლო პროგრამა - 4 ჯგუფი; 68 მსმენელი. მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 1 მსმენელი (აზერბაიჯანელი);
- ❖ მესაზღვრე - კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 4 ჯგუფი, 73 მსმენელი. მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 1 მსმენელი (სომეხი);

- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - 3 ჯგუფი, 55 მსმენელი.

2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ჩაირიცხა 42 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მსმენელი, მათ შორის: ეთნიკურად სომეხი-21, ეთნიკურად აზერბაიჯანელი-14, ეთნიკურად იეზიდო-4, ეთნიკურად უკრაინელი-2, ეთნიკურად რუსი - 1.

1.2.1.12 საინფორმაციო შეხვედრები გენდერული თანასწორობის თემატიკაზე ეთნიკურ ჯგუფებთან - ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული „მეგობრობის სახლის“ წევრებთან - სხვადასხვა დიასპორებთან

2018 წლის განმავლობაში, თვეში ერთხელ, ქ. ბათუმის „მეგობრობის სახლში“ იმართებოდა საინფორმაციო სახის შეხვედრები გენდერული თანასწორობის თემატიკაზე, „ქალთა კლუბის“ წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, მათ მიმართ ძალადობის შემცირება/პრევენცია, საბავშვო ბაღებში ბავშვების მოწყობის ხელშეწყობა და ა.შ. წლის განმავლობაში გაიმართა 12 შეხვედრა. ხელი შეეწყო გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაგეგმილ შეხვედრებში/თემატურ ტრენინგებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა ჩართულობას. ასევე, 2018 წლის განმავლობაში გაიმართა 3 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გენდერული თანასწორობის თემატიკაზე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან.

ქ. ბათუმის „მეგობრობის სახლის“ მიერ, 2018 წლის სექტემბრისა და ნოემბრის თვეში გაიმართა 2 საინფორმაციო შეხვედრა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, რომელიც გულისხმობდა სსიპ აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატთა მოწვევას და პრეზენტაციის გამართვას ქალთა უფლებებისა და ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. შეხვედრა ასევე ითვალისწინებდა შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციების გაწევას.

1.2.1.13 სამოქალაქო განათლების მიმართულებით მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების გადამზადება ბულინგის პრევენციისა და ტოლერანტული კულტურის წახალისების ასევე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე

საანგარიშო პერიოდში ტრენინგი მოდულით „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ გაიარა 6142-მა სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა და დამრიგებელმა.

1.2.1.14 მასწავლებელთა დამხმარე პრაქტიკული რესურსის მომზადება გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ; მიზნობრივი შეხვედრების ორგანიზება აღნიშნული რესურსის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს ღონისძიებებს სკოლებში დემოკრატიული კულტურის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად. გენდერული მეინსტრიმინგი ამ მიმართულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული კუთხით, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, მომზადდა მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა

დამხმარე სამ ტომეული, რომელიც წარედგინა პედაგოგებს მასწავლებელთა VI ეროვნულ კონფერენციაზე (მონაწილეთა რაოდენობა 140). ასევე, „ადამიანის უფლებათა სწავლების ცენტრთან: თანამშრომლობით, ჩატარდა მასწავლებელთა ტრენერთა ტრენინგი გენდერული თანასწორობის შესახებ (მონაწილეთა რაოდენობა - 15 ტრენერი).

1.2.1.15 პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგების/შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოხალისე თანატოლგანმანათლებლებმა ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში ჩაატარეს შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან - მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, თემის ლიდერებთან. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები ჩატარდა სახელმწიფო ენაზე, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ენად გამოიყენებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენა. ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი მასალები. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული მობილური ჯგუფის წევრებმა 3 რეგიონის 11 მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ჩაატარეს 120 ტრენინგი (3465 ბენეფიციარი). ახალგაზრდა ტრენერები, ადგილობრივებთან შეხვედრებზე განიხილავდნენ ისეთ თემებს, როგორებიცაა გენდერული სტერეოტიპები, ოჯახში ძალადობის გავლენა ბავშვებზე, ოჯახში ძალადობის ფორმები, ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, რეფერირების მექანიზმები - ცხელი ხაზი და სახელმწიფო სერვისები და სხვა.

1.2.1.16 შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებთან ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის პირველად ჩატარდა სასწავლო კურსი „როგორ დავიწყოთ და განვაავითაროთ ბიზნესი“. კონკურსის შედეგად შერჩეულ თექვსმეტ მონაწილეს შესაძლებლობა მიეცა აემაღლებინა თეორიული ცოდნა და განეხილათ საშუალო საქონლობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარები. 16 კურსდამთავრებულს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები. ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული პროექტების განხორციელება მომავალშიც იგეგმება.

1.2.1.17 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისათვის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ ინფორმაციული ხასიათის სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების ორგანიზება

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ. ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მხარდაჭერით, პროექტის „არა - ოჯახში ძალადობას“ ფარგლებში, საბჭოს შემადგენლობაში შემავალმა ორგანიზაციამ „მრავალეროვანი საქართველოს ქალები“ საჯარო მოხელეებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე - „გენდერული მენისტრინგი ადგილობრივ თვითმმართველობაში“. შეხვედრას

„ქალთა საინფორმაციო ცენტრისა“ და „გენდერული თანასწორობის ქსელის“ კვალიფიციური ექსპერტები უძღვებოდნენ. ტრენინგში ჩართული იყო 18 მონაწილე, მათგან ეთნიკური უმცირესობის 7 წარმომადგენელი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს გენდერული თანასწორობის, ოჯახის ძალადობისგან დაცვის მექანიზმებისა და ამ თემასთან დაკავშირებული საკანონდებლო ჩარჩოების შესახებ მიეწოდათ ინფორმაცია.

1.2.1.18 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე არსებული სახელმწიფო მომსახურებების პოპულარიზაციის მიზნით საგანმანათლებლო საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება თბილისსა და რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პროექტის - „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ - ფარგლებში ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა ბროშურები, სტიკერები და კალენდარი, რომელზეც განთავსებული იყო ძალადობის საწინააღმდეგო გზავნილი და ცხელი ხაზის ნომერი (116 006). მომზადებული მასალები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებთან და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებთან თანამშრომლობით გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.

ცხელი ხაზის მეშვეობით შესაძლებელია კონსულტაციის მიღება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის საკითხებზე. ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა ქართული ენის გარდა უზრუნველყოფილია დამატებით 7 (ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ) ენაზე.

აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიის ფარგლებში 2018 წლის 20 მარტს პანკისის ხეობის, სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა გამართეს საინფორმაციო შეხვედრა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე. შეხვედრას დაესწრო 45 მონაწილე.

2018 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში, რომელიც შეეხებოდა ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, გამარჯვებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ 10 დიდ ქალაქში, მათ შორის ახალციხეში საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა ადგილობრივ მოსახლეობასთან. საინფორმაციო შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ინფორმირება იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნების ქუჩაში ცხოვრებასთან ან/და მუშაობასთან, მათთვის მოწყალების გაცემით ბავშვების ქუჩაში ყოფნის წახალისებასთან, ასევე ინფორმაციის მიწოდება მიუსაფარი ბავშვების დაცვის მიზნით არსებულ სახელმწიფო მექანიზმებსა

და სერვისებზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, მომზადდა ვიდეორგოლი და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები 6 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, თურქული და სომხური).

სახელმწიფო ფონდის პროექტის „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ (USAID) პრევენციის კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ფონდის საქმიანობის საკითხებზე, კერძოდ: მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ თამარისის (მონაწილეთა რაოდენობა - 45), სოფელ ახალი დიოკნისის (მონაწილეთა რაოდენობა - 20), ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელ სხვილისის (მონაწილეთა რაოდენობა-25); დიდი პამაჯის (მონაწილეთა რაოდენობა - 15); ახმეტის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯოყოლოს (მონაწილეთა რაოდენობა-40); სოფელ დუისის (მონაწილეთა რაოდენობა - 45); ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფელ გიორგეთის (მონაწილეთა რაოდენობა - 35); სოფელ აფენის სკოლის მოსწავლეებთან (მონაწილეთა რაოდენობა - 30).

1.2.1.19 ქალთა მეწარმეობის გაძლიერება

ქალთა მეწარმეობის გაძლიერების მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 21 ივლისის №1-1-319 ბრძანების საფუძველზე კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოსთან შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭო. საერთო ჯამში, 2018 წლის იანვარ-ივლისში გაიმართა ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭოს ერთი სხდომა.

- ❖ ქვემო-ქართლის რეგიონში დაფინანსებული ბენეფიციარების 36.8% იყო ქალი (25);
- ❖ კახეთის რეგიონში დაფინანსებული ბენეფიციარების 52% იყო ქალი (80);
- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაფინანსებული ბენეფიციარების 30.6% იყო ქალი (41).

შუალედური მიზანი: 1.3 სახელმწიფო ადმინისტრირებისა და სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ღონისძიებები, პროგრამები და პროექტები განხორციელდა შემდეგი ამოცანების ფარგლებში:

- ❖ ამოცანა: 1.3.1 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არ მცოდნე მოქალაქეებისათვის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმნაში ხელშეწყობა-საჭიროებისამებრ
- ❖ ამოცანა: 1.3.2 ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაუმჯობესება სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციაში
- ❖ ამოცანა: 1.3.3 საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის
- ❖ ამოცანა: 1.3.4. საჯარო ადმინისტრირებასა და საჯარო სამსახურში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის გაზრდა და პროფესიული განვითარება

2018 წლის განმავლობაში, მუნიციპალურ დონეზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებზე რეაგირება ხდებოდა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოქალაქეებს არ შექმნიათ დაბრკოლება ენობრივი ბარიერის გამო, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდა მათთვის გასაგებ ენებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საჯარო მოხელეებს კი, საჭიროების შეთხვევაში ეძლეოდათ შესაბამისი ზეპირი განმარტებები მშობლიურ ან მათთვის გასაგებ ენებზე.

ხელი შეეწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობას ადგილობრივ დონეზე. კერძოდ, 2018 წელს კიდევ უფრო გააქტიურდა სამხარეო-ადმინისტრაციებთან არსებული ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გააქტიურების მიზნით შექმნილი საბჭოების საქმიანობა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პროგრამების და წინადადებების განხილვაში ადგილობრივ დონეზე.

გაიმართა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია საზოგადოებრივი სერვისების შესახებ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან.

2017 წლის 14 დეკემბერს ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში. კერძოდ, განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“ შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.

1.3.1.1. სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის საჯარო დაწესებულებისათვის წარსადგენი, არასახელმწიფო ენაზე შედგენილი განცხადებებისა და დოკუმენტების თარგმნის ხელშეწყობა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ ექმნებათ პრობლემები სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, მათ შესაბამის განმარტებებს აძლევენ მშობლიურ ან მათთვის გასაგებ ენებზე. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო შექმნილი დაბრკოლების შესახებ არცერთი პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

ამოცანა: 1.3.2


1.3.2.1. კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციასთან არსებული სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების საბჭოს სხდომების ჩატარება

გაიმართა სახელმწიფო რწმუნებულის სათათბირო ორგანოს - კახეთის რეგიონში უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების საბჭოს სხდომა. საბჭოს სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან, განხილული იყო, რეგიონში მიმდინარე პროგრამები და პროექტები, ასევე

რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტუალური პრობლემები. საბჭოს სხდომებზე რეკომენდაციის სახით ეთხოვით მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში უზრუნველყონ პროექტების და სიახლეების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ხელმისაწვდომობა, ასევე 2019 წლის ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსების მოძიება არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით.

1.3.2.3-1.3.2.4 სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტაჟიორების ჩართვა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში; სხვადასხვა უწყებების მიერ გამოცხადებულ სტაჟირების პროგრამებში სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ჩართულობა

„1+4“ სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, შერჩეულმა „1+4“ საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე 142-მა (ხოლო 2017 წელს, საპილოტე პროგრამის ფარგლებში - 65) ახალგაზრდამ სტაჟირება გაიარა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.



1.3.2.5 სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიზნით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობა

წლის განმავლობაში ტარდებოდა საინფორმაციო შეხვედრები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდებოდათ შესაბამისი ინფორმაცია არსებულ ვაკანტურ პოზიციებთან დაკავშირებით.

1.3.2.6. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების გაცნობის მიზნით შეხვედრების ჩატარება

წლის განმავლობაში სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობის მიზნით შეხვედრები გაიმართა სამცხე-ჯავახეთში (ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე), ქვემო ქართლში (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, გარდაბანი), კახეთში (პანკისის ხეობა, ლაგოდეხი, საგარეჯო, თელავი).

1.3.2.7 ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრების ჩართულობის ზრდა ქ. თბილისის საკრებულოს საქმიანობაში

2019 წლის ქ. თბილისის განვითარების გენერალური გეგმისა და საკრებულოს ბიუჯეტირების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

ამოცანა: 1.3.3

1.3.3.1 სახელმწიფო სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების (ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები, განათლების პროგრამები, უახლესი საკანონმდებლო რეგულაციები) შესახებ ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე მომზადებული საინფორმაციო მასალების გავრცელება რეგიონებში

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2018 წლის იანვრიდან ივლისის თვის ჩათვლით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყო საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება. აღნიშნული მასალები საზოგადოებრივი ცენტრების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და იუსტიციის სახლის მეშვეობით გავრცელდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის გზით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამებისა და სიახლეების შესახებ (ჩატარდა 50-ზე მეტი შეხვედრა).

1.3.3.2 სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იუსტიციის სახლების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში, იუსტიციის სახლების მშენებლობის ხელშეწყობა (სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, მიწის ნაკვეთების გამოყოფა)

ქ. ახალქალაქში გაიხსნა იუსტიციის სახლი. ასევე, საზოგადოებრივი ცენტრები გაიხსნა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში და ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა ადიგენში. მუნიციპალიტეტებმა თავიანთი სახსრებით უზრუნველყვეს აღნიშნული სახლების ტერიტორიების კეთილმოწყობა.

1.3.3.3 საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების (ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები, განათლების პროგრამები, უახლოესი საკანონმდებლო რეგულაციები) შესახებ ინფორმაციის მიწოდება ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის

პენიტენციურ სისტემაში 2018 წლის განმავლობაში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და განათლების პროგრამებში ჩართული იყო სულ 3460 ბენეფიციარი. მათ შორის, სხვა მსჯავრდებულებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელი მსჯავრდებულები:

პროგრამის ტიპი	მონაწილეთა რაოდენობა
ზოგადი განათლება	144
უმაღლესი განათლება	38
პროფესიული განათლება (კრედიტებით)	218
პროფესიული განათლება (სასერთიფიკატო)	507
საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამები	480
ფსიქო-სოციალური ტრენინგები	766
ფსიქო-სოციალური თერაპია	1307

1.3.3.4 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ

პატიმართა უფლებების შესახებ განახლებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ტექსტური ვიდეო რგოლები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა დაწესებულებაში ბრალდებულ/მსჯავრდებულებისათვის სატელევიზიო არხის მეშვეობით. ასევე, ყველა პენიტენციური დაწესებულების სოციალურ განყოფილებაში არსებობს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ვერსიები ხუთ ენაზე: რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული და ინგლისური. მოთხოვნის შემთხვევაში სასურველ ენაზე აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით.

1.3.3.5 საინფორმაციო კამპანია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ

საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ სსიპ-ის „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის 40-მდე ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც 4065-მდე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთან შედგა პირდაპირი კომუნიკაცია. შეხვედრები ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მარნეული, ბოლნისი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, თეთრიწყარო და სხვ.

სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სხვადასხვა სახის აქტივობები (კონკურსები, კონცერტი, გამოფენა, საინფორმაციო აქცია, სასწავლო ვიზიტი ქუთაისის სამხედრო ბაზაზე, შეხვედრები, სემინარები); საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების 2000-მდე წარმომადგენელს მიეწოდა ინფორმაცია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის, ასოცირების შეთანხმების და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამ მიმართულებით მომავალშიც იგეგმება საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიების გამართვა.

1.3.3.6 პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“ ფარგლებში ტრენინგების/შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული რეგიონებში

პროექტი განხორციელდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, რომელსაც მხარს უჭერს სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი. პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენებზე. ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა (30 მონაწილე), რომლებმაც გაიარეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილი თემატური სკოლა, ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაცხოვრებელს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისა და მისგან მომდინარე სარგებლის შესახებ. 3 რეგიონის 10 მუნიციპალიტეტის 56 სოფელში, ჩატარდა 80 - ტრენინგი (2133 ბენეფიციარი).

1.3.3.7 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და მათთვის საკრებულოს საქმიანობის გაცნობა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საბჭოს ბაზაზე შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც ჩართულია დედაქალაქის საკრებულოს ახალგაზრდული პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესში. საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ორგანიზებით, თბილისში პირველი ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა დედაქალაქში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობის ოთხმა (უკრაინელი, ასირიელი, სომეხი, აზერბაიჯანელი) წარმომადგენელმა მიიღო.

1.3.3.9 ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებზე საგანმანათლებლო და ვიდეო მასალების მომზადება/გავრცელება

დაიბეჭდა საპოპულარიზაციო და საგანმანათლებლო მასალები, თამბაქოს ამკრძალავი ნიშნები, ფლერები და ბროშურები, კერძოდ:

- ❖ ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის C ჰეპატიტის კომპონენტის ფარგლებში მომზადდა ორი ვიდეო კლიპი სომხური და აზერბაიჯანული სუბტიტრებით;
- ❖ „თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერების“ კომპონენტის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების (სომხურ და აზერბაიჯანულ) ენებზე მომზადდა:

- ❖ ფლავი ტამბაქოს კონტროლის ახალი რეგულაციების შესახებ (500 ერთეული);
- ❖ ბროშურა (500-500 ერთეული);
- ❖ ფლავი (ტამბაქოს მავნებლობა) 200-200 ერთეული;
- ❖ მოწვევის ამკრძალავი ნიშნები (სტიკერები) 250-250 ერთეული.
- ❖ „ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ნივთიერებადამოკიდებულების პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა საგანმანათლებლო ბუკლეტები ფსიქიკური ჯანმრთელობის თემატიკაზე (1500-1500 ერთეული).

1.3.3.10. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის შრომისა და დასაქმების სფეროში განხორციელებული რეფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლება

დასაქმების ხელშეწყობის თემაზე მომზადდა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (500-500 ერთეული), ასევე დაწყებულია საინფორმაციო ბროშურების გავრცელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შრომითი უფლებების თაობაზე (500-500 ერთეული), რომელიც გაგრძელდება 2019 წელს.

1.3.3.11 ინფორმაციის გავრცელება ტურიზმის სფეროში არსებული სიახლეებისა და განვითარების ტენდენციების შესახებ სამაუწყებლო პროგრამების, ელექტრონული/ბეჭდვითი და სოციალური მედიის საშუალებებით

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროში არსებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, როგორცაა: ახალი ტურისტული პროდუქტი, ღონისძიებები, ახალი ტურისტული ობიექტები, ტურისტული შეთავაზებები და სხვა. ინფორმაციის მიწოდება ხდება ადმინისტრაციის ბაზაში არსებული ტურისტული ობიექტებისათვის (სასტუმრო, კვების ობიექტი, ტურისტული ატრაქცია და სხვა). გავრცელებული ინფორმაცია (2018 წლის იანვარი-ივლისის მონაცემით) შეადგენს ჯამში 163-ს.

1.3.4.4 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება და საჯარო სამსახურში ჩართულობის გაზრდა

იხილეთ 3.4.1.3.

1.3.4.5 სტაჟირების პროგრამა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულოს იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილებებში სამთვლიანი სტაჟირების კურსი გაიარა ეთნიკური უმცირესობების სამმა წარმომადგენელმა.

შუალედური მიზანი: 1.4 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის წახალისება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

ამოცანა: 1.4.1 ეთნიკური უმცირესობათა მიერ ხმის მიცემისა და ინფორმირებული არჩევის გაკეთების უზრუნველყოფა

2018 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებისათვის უზრუნველყოფილი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არჩევნებში თანასწორი და აქტიური მონაწილეობა. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შექმნილი იყო 346 საარჩევნო უბანი: ქართულ-აზერბაიჯანული – 209 უბანი; ქართულ-სომხური – 133 უბანი; ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული – 4 უბანი.

საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები ჩაუტარდა საუბნო საარჩევნო კომისიის 43 352 წევრს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 1639 წევრს (ეთნიკურად სომეხი – 762 წევრი; ეთნიკურად აზერბაიჯანელი – 877 წევრი);

1.4.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

პრეზიდენტის არჩევნებისთვის, ცესკომ უზრუნველყო სპეციალური საინფორმაციო ვიდეო რგოლის მომზადება ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, რომელიც ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამასთან, ცესკოს მიერ მომზადებული ყველა საინფორმაციო ვიდეო რგოლი (15 ვიდეო რგოლი), ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომელიც განთავსდა რეგიონული ტელევიზიების ეთერში.

ცესკომ უზრუნველყო სომხურენოვან გაზეთსა „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვან გაზეთში „გურჯისტანი“ ხელმისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ამომრჩეველებს ინფორმაციის მიღება შეეძლოთ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორებისგან, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას. დასაქმებული იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 4 ოპერატორი (2 - სომეხი, 2 - აზერბაიჯანელი).

ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.cesko.ge) კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველებს ამომრჩეველთა ერთიანი სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეეძლოთ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, ვებ-გვერდზე ბანერში „ეთნიკური უმცირესობები“ განთავსებული იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი სხვადასხვა დოკუმენტაცია.

1.4.1.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ

ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩეველებს“

2018 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია: „ვესაუბრებით ამომრჩეველებს“, რომელიც როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, საარჩევნო ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმირებას ითვალისწინებდა.

საინფორმაციო კამპანია განხორციელდა ორ ეტაპად. კამპანიის პირველ ეტაპზე (მაისი-ივნისის პერიოდი) 73 საოლქო საარჩევნო კომისიის 335-მა წევრმა და 400-მა მოხალისემ, მუნიციპალიტეტების ცენტრებისა და სოფლების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მათ შორის ეთნიკური

უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გამართეს 263 შეხვედრა, ხოლო 73 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ – 76 საჯარო შეხვედრა. ამომრჩევლებსა და ჩართულ მხარეებს გააცნეს ინფორმაცია საარჩევნო უფლების, საპრეზიდენტო არჩევნების, საარჩევნო პროცესის, არჩევნების ისტორიისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ. საოლქო საარჩევნო კომისიებში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 1681-მა დაინტერესებულმა პირმა.

კამპანიის პირველ ეტაპზე გავრცელდა საინფორმაციო ფლაერი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან 100 წლის იუბილეს შესახებ.

კამპანიის მეორე ეტაპზე (სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდი) საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების გადამოწმების მიზნით, თბილისსა და რეგიონებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ჩაატარეს 97 აქცია „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი“. აქციების ფარგლებში, ისინი მობილური ტელეფონის, პლანშეტისა და სწრაფი გადახდის აპარატის გამოყენებით დაეხმარნენ პირადი მონაცემებისა და საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის გადამოწმებაში, დაარიგეს საინფორმაციო ფლაერები და ცესკოს ბრენდირებული პროდუქცია.

წელს, პირველად დაიგეგმა ახალი ინიციატივა ახალგაზრდების არჩევნებში მონაწილეობის ხელშესაწყობად და აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, ახალგაზრდებმა, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ არჩევნებში, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მიიღეს ცესკოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა.

აღსანიშნავია, რომ კამპანიის ფარგლებში გავრცელებული ყველა საინფორმაციო მასალა ნათარგმნი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

კამპანიის ფარგლებში საარჩევნო საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით ცესკომ ახალგაზრდებს ახალი სერვისი შესთავაზა. თბილისისა და რეგიონების 24 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განთავსდა სპეციალური პლაკატები, რომელზეც გამოსახული იყო სწრაფი რეაგირების კოდი (QR Code). ცესკოს ვებგვერდზე ახალგაზრდებისთვის შეიქმნა სპეციალური ბანერი და QR კოდის მობილური აპლიკაციით სკანირების შემდეგ, ახალგაზრდებს შეეძლოთ მიეღოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, ხმის უფლება, ხმის მიცემის პროცედურები, ელექტრონული საარჩევნო ბიბლიოთეკა, საქართველოს არჩევნების ისტორია, გენდერული სტატისტიკა, საგანმანათლებლო პროექტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობები.

ცესკოს წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს მარნეულის რაიონის სოფელ კაპანახჩსა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ქალების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 100-მდე ქალმა.

1.4.1.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის, ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ

ენებზე ითარგმნა და დაიბეჭდა საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ბიულეტენის შევსების წესი და კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

ასევე, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი დოკუმენტაცია:

- ❖ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია;
- ❖ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია;
- ❖ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებები კენჭისყრის დღეს;
- ❖ ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები;
- ❖ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები;
- ❖ საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები;
- ❖ გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები;
- ❖ სასწავლო მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის არჩევნების უსაფრთხოება;
- ❖ ინსტრუქცია და ვიდეო რგოლი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შუამომრჩეველთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ;
- ❖ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ სუბტიტრებიტ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

1.4.1.4 მცირე გრანტების გაცემა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უმცირესობათა თემებისათვის - არჩევნების მნიშვნელობისა შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით

2018 წელს, ცესკომ საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში. ცესკოსთან არსებულმა სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი), საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით, დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების 10 პროექტი, რომელიც განახორციელა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. პროექტების ბიუჯეტმა შეადგინა 219 062 ლარი.

1.4.1.5. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მომზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით

საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიის 43 352 წევრს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 1639 წევრს, აქედან, სომეხი – 762 წევრი; აზერბაიჯანელი – 877 წევრი. საუბნო საარჩევნო კომისიების სომხურენოვანმა და აზერბაიჯანულენოვანმა წევრებმა, ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად, გაიარეს ინტენსიური სასწავლო კურსი. ტრენინგი მოიცავდა ოთხ ეტაპს:

- ❖ ინსტრუქტაჟი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესთან დაკავშირებით;
- ❖ საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები;

- ❖ საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) სწავლებას და სასწავლო პროგრამა მოიცავდა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებების განხილვას. ასევე, ინტეგრირებული იყო ინოვაციური სასწავლო მოდულები – კონფლიქტების მართვა და არჩევნების უსაფრთხოება, რომელიც სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი) შეიმუშავა.
- ❖ სიმულაციური სწავლება კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირების ფორმატში;

1.4.1.6 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

- ❖ „საარჩევნო განვითარების სკოლა 18-24 წლამდე ახალგაზრდებისთვის;
- ❖ არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის;
- ❖ საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები;
- ❖ სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართლის დარგში - ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

საგანმანათლებლო პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოს (CoE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, თბილისსა და საქართველოს 23 მუნიციპალიტეტში განახორციელეს პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მორიგი ეტაპი. ათდღიანი სწავლება 18-24 წლის ახალგაზრდებს ჩაუტარდათ 25 „საარჩევნო განვითარების სკოლაში“ და ისინი გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა და გენდერული თანასწორობა.

პროექტის 33 წარჩინებული კურსდამთავრებული ცესკომ ორი თვის ვადით დაასაქმა საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტში, მათგან 10-მა – თბილისის, ხოლო 23-მა – სხვა საოლქო საარჩევნო კომისიებში გაიარეს პრაქტიკა და მიიღეს საარჩევნო გამოცდილება.

25 საარჩევნო განვითარების სკოლა განხორციელდა თბილისსა და 23 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. მონაწილეობა მიიღო 472-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 311 (66%) იყო ქალი და 161 (34%) – კაცი.

სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს პროექტი: „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ განახლებული კონცეფციით, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო კურსის ჩატარებას პროფილური პროგრამებით. პროგრამა განხორციელდა საარჩევნო საკითხებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების

ხელშეწყობისთვის. საუბნო საარჩევნო კომისიის პოტენციური წევრობისთვის კურსების მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები, საარჩევნო ყუთის გახსნა, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა, შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა.

პროფილური პროგრამა წელს პირველად განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიების პოტენციური იურისტებისთვის, რომლებმაც შეისწავლეს შემდეგი საკითხები: საარჩევნო დავების გამომწვევი მიზეზები, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე პროცედურული რისკების იდენტიფიცირება, ადმინისტრაციული წარმოება, საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ორგანიზება და მიმდინარეობა, საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების მომზადება საარჩევნო დავებზე, შესაგებელის ფორმა და რეკვიზიტები.

პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ განხორციელდა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით, თბილისსა და ყველა მუნიციპალიტეტში, მონაწილეობა მიიღო 5 551-მა მონაწილემ, მათ შორის 4 470 (81%) იყო ქალი და 1 081 (19%) – კაცი. პროექტი საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები პოტენციური იურისტებისთვის განხორციელდა თბილისში, მონაწილეობა მიიღო 128 მონაწილემ, მათ შორის 77 (60%) იყო ქალი და 51 (40%) – კაცი.

სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართალი“

ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სასწავლო პროგრამა საარჩევნო სამართლის დარგში პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის სკოლის, იურიდიული, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტების სტუდენტებისთვის.

პროგრამა მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართალში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. სწავლების ცენტრმა მოამზადა დამხმარე სახელმძღვანელო, პრაქტიკული სავარჯიშოების კრებული და ელექტრონული პრეზენტაციები.

სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნების ცნება, არჩევნების სახეები და პერიოდულობა, საარჩევნო სისტემები, საქართველოს საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები, საარჩევნო პროცესი და საარჩევნო პროცესის მართვის ორგანო, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები და მუშაობის წესი, არჩევნებში ჩართული მხარეები, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა, არჩევნების დაფინანსება, კენჭისყრის დრო და ადგილი, საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება/დადგენა, საარჩევნო დავები, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, საქართველოს პარლამენტის არჩევნები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები, თვითმმართველი ქალაქის მერის (თვითმმართველი თემის გამგებლის) არჩევნები, რეფერენდუმი, პლებისციტი. პროექტი განხორციელდა ცხრა უნივერსიტეტში, მათ შორის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის

სახელმწიფო უნივერსიტეტში და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწავლება გაიარა 338-მა სტუდენტმა, მათ შორის 201 (59%) იყო ქალი და 137 (41%) – კაცი.

სემინარები უნივერსიტეტებში „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“

უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და არჩევნებში ახალგაზრდა ამომრჩევლის აქტიური ჩართულობის ზრდის ხელშეწყობისთვის, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს პროექტი: „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“ ორ ეტაპად. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: არჩევნების არსი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, საერთაშორისო ვალდებულებები და პრინციპები, საარჩევნო პროცესებში ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხები საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის, არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი საარჩევნო პროცესში. პროექტი განხორციელდა, როგორც დედაქალაქში, ისე სხვადასხვა რეგიონში, 12 უნივერსიტეტში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სემინარებში მონაწილეობა მიიღო 701-მა სტუდენტმა, მათ შორის 523 (77%) იყო ქალი და 178 (23%) – კაცი.

1.4.1.7 კომპეტენციის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ჩართულობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით

წლის განმავლობაში მხარის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურები ესწრებოდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამოქალაქო აქტივობებში/შეხვედრებში, რომლებიც ორგანიზებული იყო როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების, მათ შორის არასამთავრობო სექტორის მიერ.

1.4.1.8 სამხარეო ადმინისტრაციაში „ღია კარის“ დღის მოწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ადმინისტრაციის საქმიანობისა და ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის გაცნობის მიზნით

წლის განმავლობაში ადმინისტრაციის საქმიანობის გაცნობისა და ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესწავლის მიზნით მოეწყო ღია კარის დღე.

1.4.1.9 მუნიციპალიტეტებში ბიუჯეტების საჯარო განხილვაში და სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა - ჩატარებაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვის უზრუნველყოფა

2018 წელს, სამცხე-ჯავახეთის მხარის ადმინისტრაციის კოორდინირებით, მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით დაიწყო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებზე მუშაობა. აღნიშნული ხორციელდება ევროკავშირის ინიციატივის ფარგლებში - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

ასევე, სამცხე-ჯავახეთის მხარის ადმინისტრაციის ინიციატივით მოეწყო საინფორმაციო ტურები რეგიონის მუნიციპალიტეტებში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების და მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისგან შემდგარი ჯგუფები მხარის ღირსშესანიშნაობების გაცნობის პარალელურად, შეხვდნენ მოსახლეობის ფართო ფენებს და გამოავლინეს კონკრეტული საჭიროებები. აღნიშნული საქმიანობა განხორციელდა მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით

კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში - ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში.

შუალედური მიზანი: 1.5. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა: 1.5.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

გაგრძელდა არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა. წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (93 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციალურ დაწესებულებებში.

1.5.1.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა შესაბამისი სახელმწიფო მაუწყებლობით

სპეციალური პენიტენციური სამსახური პენიტენციურ დაწესებულებებს ტექნიკურად შესაძლებელი ლიმიტის ფარგლებში უზრუნველყოფს ყველა ბრალდებულ/მსჯავრდებულისათვის საინტერესო სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სატელევიზიო მაუწყებლობაში უფასოდ ხელმისაწვდომი სატელევიზიო არხების ჩართვას. პენიტენციურ დაწესებულებებში სატელევიზიო არხების მაუწყებლობა ხორციელდება 20 უცხოურ ენაზე: რუსული (12 არხი), ინგლისური (2 არხი), თურქული (2 არხი), აზერბაიჯანული (2 არხი), სომხური (1 არხი) და არაბული (1 არხი).

ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა შესაბამისი პერიოდიკით.

ყველა პენიტენციური დაწესებულის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანისა“ და სომხურენოვანი „ვრასტანის“ გაზეთებით.

შუალედური მიზანი 1.6: ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

ამოცანა: 1.6.1 „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესრულება და „რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“ ევროპული ქარტიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ჩატარებული საინფორმაციო კამპანიის შედეგად გაუმჯობესდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირების დონე სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. კერძოდ, ადამიანის უფლებების, ეთნიკური უმცირესობების დაცვის, მათ შორის საერთაშორისო მექანიზმების შესახებ.

1.6.1.1. მედიასთან თანამშრომლობის გაძლიერება, შესაბამის უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაცია, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა

იხ. 1.4.1.9

1.6.1.2 საინფორმაციო კამპანია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის გაცნობის მიზნით როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ჩართულობით შეხვედრები გაიმართა ეთნიკური უმცირესობების უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციისა და მისი შესრულების შესახებ სამცხე ჯავახეთში (ნინოწმინდა, ახალქალაქი), ქვემო ქართლში (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, გარდაბანი), კახეთი (პანკისის ხეობა, ლაგოდეხი, საგარეჯო, თელავი), თბილისი.

ამოცანა: 1.6.2 საჯარო მოსამსახურეთა და ეთნიკურ უმცირესობათა სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სფეროში

1.6.2.1. გასვლითი შეხვედრების ორგანიზება ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში

იხილეთ 1.4.1.9

სტრატეგიული მიზანი 2

თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

შუალედური მიზანი 2.1. სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა

ამოცანა: 2.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ¹

სხვადასხვა პროექტების, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების გზით ხელი შეეწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. განხორციელდა გზების რეაბილიტაცია, გარე განათებისა და შიდა გზების მოწყობა, სარწყავი და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია და სხვ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 47 პროექტი საერთო ღირებულებით 21 385 845 ლარი, მათ შორის რეგიონული განვითარების ფონდის (შემდგომ რგფ) თანხა 19 489 657 ლარი;

¹ იხილეთ დანართი 1

- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 4 პროექტი, საერთო ღირებულებით 2 516 262 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 390 448 ლარი;

ქვემო-ქართლის რეგიონი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 63 პროექტი, საერთო ღირებულებით 33 732 709 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 26 488 474 ლარი;
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 3 პროექტი; საერთო ღირებულებით 284 895 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 270 650 ლარი.

კახეთის რეგიონი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 164 პროექტი, საერთო ღირებულებით 37 362 821 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 35 223 336 ლარი;
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 8 პროექტი, საერთო ღირებულებით 1 019 408 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 968 436 ლარი.

სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს გაეწია სოციალური დახმარება, კერძოდ: სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება, ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვ.

2.1.1.1. ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები: ჭაბურღილის მოწყობა, წყალსადენი მაგისტრალის მოწყობა, საავტომობილო გზების შეკეთება, გარე განათებების მოწყობა, სპორტული სტადიონისა და სკვერის განათება და სხვ.

2018 წელს კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

ახმეტის მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფელ ბირკიანში ყურეს ხევზე მოეწყო რკინაბეტონის ბოგირი - საერთო ღირებულება 15181 ლარი;
- ❖ სოფელ დუისში რეაბილიტაცია ჩაუტარდა საჭიდაო დარბაზს - საერთო ღირებულება 4535 ლარი;
- ❖ რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლების ჯოყოლოს, დუისის #1, დუისის #2, ბირკიანის, ომალოს და დუმასტურის საბავშვო ბაღებს - საერთო ღირებულება 30497 ლარი;

თელავის მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფელ ყარაჯალაში მოეწყო ჭაბურღილი, საერთო ღირებულება 110 000 ლარი;
- ❖ ამავე სოფელში მოეწყო 40 ერთეული გარე განათების სანათი საერთო ღირებულება 8000 ლარი;

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფელ საბათლოში და სოფელ ჭოეთში დაიწყო და მიმდინარეობს ბუნებრივი აირის გაზიფიცირების სამუშაოები, მოეწყო ცენტრალური მაგისტრალური გაზსადენი, სოფელ საბათლოში მოეწყო ასევე, შიდა ქსელი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფელ განჯალაში რეგიონალური განვითარების ფონდთან ერთად განხორციელდა შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია საერთო ღირებულება 241578 ლარი;
- ❖ სოფელ ზემო ბოლქვში ჭაბურღილის და სადაწნო-საუბნო ქსელის მოწყობა სრულად დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 62275 ლარით;
- ❖ სოფელ ქვემო ბოლქვში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია სრულად დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 29670 ლარით;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

- ❖ განხორციელდა სოფელ დუზაგრამა-ლამბალო-თულარის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის და სოფელ იორმუდანლოში რკინა ბეტონების სადგამების მოწყობის სამუშაოები - საერთო ღირებულება 7 261 ლარი;
- ❖ სოფელი ლამბალოში მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები;
- ❖ სოფელ ლამბალოსა და სოფელ დუზაგრამაში განხორციელდა არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილებში დამონტაჟებული, დაზიანებული სამელი წყლის ჭაბურღილისთვის ამჟამი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები.

2.1.1.2 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი გარემოს ფორმირება, სახელმწიფო პროგრამების განხორციელების, ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური კავშირების გაძლიერების ხელშეწყობა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ჩაატარა 21 საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრას დაესწრო ეთნიკური უმცირესობების 873 წარმომადგენელი.

2.1.1.3 მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება

საანგარიშო პერიოდში ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალციხის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა შემდეგი პროექტები: საავტომობილო გზებისა და შიდა გზების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოწყობა, სანიაღვრე კოლექტორებისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია და სხვა.

საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სხელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განხორციელდა 126 პროექტი, საერთო ღირებულება 16 773 784 ლარი; მათ შორის:

- ❖ ახალციხის მუნიციპალიტეტში - 51 პროექტი - 6 326 182 ლარი;
- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში - 43 პროექტი - 7 105 337 ლარი;
- ❖ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - 32 პროექტი - 3 342 265 ლარი;

2.1.1.4 სოციალური პროგრამების გაცნობის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან: არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და სხვ.;

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისათვის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, სოციალური პროგრამების გაცნობისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების გაცნობის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარდა შეხვედრები, რომელსაც ესწრებოდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები - ადგილობრივი მოსახლეობა, გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, სოფლების რწმუნებულები, მასწავლებლები, სამედიცინო პერსონალი, ა/ო, ა/მედია, ახალგაზრდები, სხვა დაინტერესებული მხარეები. კერძოდ, ივნისი-ივლისის პერიოდში ჩატარდა 5 საინფორმაციო შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში - მარნეული, გარდაბანი, წალკა, დმანისი და ბოლნისი; 5 საინფორმაციო შეხვედრა კახეთის რეგიონში - იორმულანლო (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი); კაბალი (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი), ჩანტლისყურე (ყვარელის მუნიციპალიტეტი), დუისი (პანკისის ხეობა, ახმეტის მუნიციპალიტეტი), ყარაჯალა (თელავის მუნიციპალიტეტი) და ახალქალაქი, ნინოწმინდა - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (სულ 12 შეხვედრა).

ამასთან, ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის სოციალური პროგრამების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზურუნველსაყოფად დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები - ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2.1.1.5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების გაცნობის მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, ასევე, ქრონიკული მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და C ჰეპატიტის უფასო სკრინინგის ორგანიზება

C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი ორგანიზებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც სამედიცინო დაწესებულებებში, ასევე გამსვლელი ბრიგადების მეშვეობით, მათ შორის - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი განხორციელებულია მარნეულის, რუსთავისა და ახალციხის იუსტიციის სახლებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონში (მარნეული, გარდაბანი, წალკა, დმანისი, ბოლნისი), კახეთის რეგიონში (იორმულანლო საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), კაბალი (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი), ჩანტლისყურე (ყვარლის მუნიციპალიტეტი), დუისი (პანკისის ხეობა, ახმეტის მუნიციპალიტეტი), ყარაჯალა (თელავის მუნიციპალიტეტი) და სამცხე - ჯავახეთში (ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები). ასევე, ქრონიკული მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამისა და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის თაობაზე, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მომზადდა და გავრცელდა 4000-4000 ერთეული საინფორმაციო ბროშურა (ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

2.1.1.6 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში დაგეგმილი მობილური ექსტენციის ფარგლებში ფერმერებთან საინფორმაციო საკონსულტაციო შეხვედრები

მობილური ექსტენციის ფარგლებში ფერმერებთან საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა 8 სოფელში:

- ❖ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა;
- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოთელია და ვაჩიანი;
- ❖ წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი დაბა თრიალეთი;
- ❖ მარნეული მუნიციპალიტეტი, სოფელი კასუმლო და სადახლო;
- ❖ დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტნუსი;
- ❖ ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამწვერისი.

2.1.1.7 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საინფორმაციო მასალის (ბროშურები, ბუკლეტები, საინფორმაციო ვიდეო მასალა და სხვა) გავრცელება

ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში გავრცელდა 100 ერთეული ბროშურა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გზამკვლევი - სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გავრცელდა 11 100 ერთეული სხვადასხვა საინფორმაციო მასალა სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

2.1.1.8 კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი)

ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა 4 საინფორმაციო შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამების შესახებ.

2.1.1.9 ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ერთად, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზება ქალაქის ბიუჯეტით გათვალისწინებული ეკონომიკური პროგრამებისა და სერვისების გაცნობის მიზნით

იხ. 1.3.2.7

2.1.1.10 მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში

2018 წელს დაფინანსდა 320 ბიზნეს პროექტი, მათ შორის:

- ❖ ქვემო-ქართლის რეგიონში - 61;
- ❖ კახეთის რეგიონში - 135;
- ❖ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 124 ბიზნეს პროექტი.

2.1.2.1. ინფრასტრუქტურული პროექტები ქვემო ქართლის რეგიონში;

საანგრიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სხელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განხორციელდა არაერთი პროექტი, კერძოდ:

- ❖ წალკის მუნიციპალიტეტი - 55 პროექტი, საერთო ღირებულება 4908500 ლარი;
- ❖ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი - 32 პროექტი, საერთო ღირებულება 2671100 ლარი;
- ❖ მარნეულის მუნიციპალიტეტი - 36 პროექტი, საერთო ღირებულება 3759980 ლარი;
- ❖ ბოლნისის მუნიციპალიტეტი - 70 პროექტი, საერთო ღირებულება 8011368 ლარი;
- ❖ დმანისის მუნიციპალიტეტი - 9 პროექტი, საერთო ღირებულება 602283 ლარი;
- ❖ გარდაბნის მუნიციპალიტეტი - 22 პროექტი, საერთო ღირებულება 10180000 ლარი;
- ❖ რუსთავის მუნიციპალიტეტი - 29 ინფრასტრუქტურული პროექტი, საერთო ღირებულება 2951177 ლარი;

2.1.2.3 სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებისა და სხვა უწყებების სოციალური პროგრამებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ სარგებლობისა და თანაბარი განაწილების ხელშეწყობა.

2018 წლის 7 თვის განმავლობაში

- ❖ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების პროგრამით ისარგებლა 607 ბენეფიციარმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია 541 მოქალაქე, გაცემული სოციალური დახმარება - 129632 ლარი;
- ❖ ახალციხის მუნიციპალიტეტში - 1547 ბენეფიციარი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის 477 წარმომადგენელი, გაცემული სოციალური დახმარება - 152 664 ლარი;

- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში - 783 ბენეფიციარი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის 685 წარმომადგენელი, გაცემული სოციალური დახმარება - 265 230 ლარი.

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სარგებლობენ ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამით, სტაციონარული-ამბულატორიული მომსახურების პროგრამით, უფასო ტრანსპორტის მომსახურებით, რომელიც გათვლილია სტუდენტებზე, ვეტერინარებზე და უსინათლოეებზე. ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამების მიხედვით ბოლნისში 170 ბენეფიციარზე გაიცა 422,594 ლარის ოდენობით დახმარება, დმანისში 1050 ბენეფიციარზე - 312,961 ლარის დახმარება, წალკაში 800 ბენეფიციარზე 400,000 ლარის დახმარება.

კახეთის რეგიონში წლის განმავლობაში 900 მეტ ბენეფიციარს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, სხვადასხვა კუთხით გაეწია სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება, ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, ახალშობილი ოჯახის დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. თირკმელის ჩანაცვლებითი თერაპია - ჰერმოდიალიზი მგზავრობის ხარჯი, სტიქიით და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა დახმარება, საერთო ჯამში სოციალური დახმარების სახით წლის განმავლობაში გაიცა - 200 000 ლარი.

სტრატეგიული მიზანი 3

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება


საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ღონისძიება და პროგრამა, რომელიც ემსახურებოდა შემდეგი პრიორიტეტული მიზნების განხორციელებას:

- ❖ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის სკოლამდელი განათლების შესაძლებლობების გაზრდა და ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
- ❖ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ❖ პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ❖ სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება;

განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე, მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული). საქართველოში ფუნქციონირებს 211 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 76 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 82

აზერბაიჯანულენოვანი, 118 სომხურენოვანი, 11 რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული სექტორი - 29, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი -1.



შუალედური მიზანი: 3.1 სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

ამოცანა: 3.1.1 სკოლამდელი განათლების პროგრამის შემუშავება, სასწავლო რესურსების მოდელების შექმნა, აღმზრდელ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადება

ქვემო ქართლის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნა სკოლამდელი მზაობის პროგრამები

3.1.1.1 სოფელ ბადიაურის საბავშვო ბაღში დამატებითი ჯგუფის გახსნა აზერბაიჯანულენოვანი ბავშვებისთვის. ომალოს, დუისის N1, ბირკიანის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

დამატებითი ღონისძიებები: პანკისის ხეობის საბავშვო ბაღებში (11 ბაღი და 17 ჯგუფი) აქტიურადაა დანერგილი და მიმდინარე წელსაც გრძელდება „სასკოლო მზაობის პროგრამით“ - მუშაობა. ცენტრის მეთოდისტების მიერ ხდება აღმზრდელების გადამზადება.

3.1.1.2 წალკის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ სოფლებში (კიზილქილისა, კოხტა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობის მეორე ეტაპის განხორციელება/მშენებლობის დასრულება

წალკის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ სოფლებში: ავრანლო, კოხტა, არწივანი, კიზილ-ქილისა რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლამდელ

დაწესებულებებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სოფელ სამებასა და საყდრიონში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღები.

3.1.1.3 გარდაბანში ალთაკლია-ყარათაკლიაში ბაღის მშენებლობის მეორე ეტაპი

ალთაკლია-ყარათაკლიას ბაღის მშენებლობის პირველი ეტაპი 2018 წელს დასრულდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამუშაოები, კერძოდ პროექტის განხორციელებისთვის შესაბამისი ექსპერტიზა და ხარჯთაღრიცხვის წარმოება. დაგეგმილია ტენდერის გამოცხადება. ბაღი მოემსახურება ორივე სოფელს.

3.1.1.4 მარნეულში სოფელ საიმერლოში საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდება 2019 წლის ბოლომდე;

3.1.1.5 სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არაქართულენოვანი ჯგუფების ფორმირებისა და სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა; არაქართულენოვანი საბავშვო ბაღების მატერიალურტექნიკური ბაზის აღჭურვა, სწავლებისა და აღზრდის სათანადო პირობების შექმნა;

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფ. დიდ არაქალის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო და გაზიფიცირების სამუშაოები. ღირებულება - 17 698 ლარი; 200 ბენეფიციარი;
- ❖ ქ. ნინოწმინდის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია და ტერიტორიის კეთილმოწყობა. ღირებულება - 66 666 ლარი; 500 ბენეფიციარი;
- ❖ სოფ. გორელოვკის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ღირებულება - 5 635 ლარი; 1 200 ბენეფიციარი;

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფ. კულიკამში საბავშვო ბაღის მშენებლობა. ღირებულება - 170 186 ლარი; 120 ბენეფიციარი;
- ❖ ქ. ახალქალაქის სოფ. კარწახის საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის საქვების მონტაჟი; ღირებულება - 13 098; 80 ბენეფიციარი;
- ❖ სოფ. კარტიკამის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ღირებულება - 9 642 ლარი; 80 ბენეფიციარი;
- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ხულგუმოს საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, ღირებულება - 2 677 ლარი; 80 ბენეფიციარი;

ახალციხის მუნიციპალიტეტი

- ❖ ქ. ვალეში კულტურის სახლის და საბავშვო ბაღის მისასვლელი გზის მოწყობა. ღირებულება - 41 007 ლარი; 5750 ბენეფიციარი;

- ❖ ქ. ახალციხეში N1 ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა. ღირებულება - 47 531 ლარი; 460 ბენეფიციარი.

3.1.1.6 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის თარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 2018 წელს ითარგმნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

3.1.1.7 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული რეგიონების სკოლამდელი განათლების დაწესებულებების კადრების გადამზადების მხარდაჭერა სახელმწიფო ენის სწავლების უზრუნველყოფის მიმართულებით

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ 2018 წელს სახელმწიფო ენის პროგრამით მოამზადა ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, საგარეჯოს და ახმეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების 46 თანამშრომელი, მათ შორის 26 აღმზრდელი.

შუალედური მიზანი: 3.2 ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე მშობლიურ ენებზე

ამოცანა: 3.2.1 ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება-განვითარება ხარისხიანი ორენოვანი განათლების დანერგვის ხელშესაწყობად

აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 2018 წელს ითარგმნა დაწყებითი საფეხურის (I-IV, V-VI კლასების) სტანდარტები;

3.2.1.1 ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარება სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენაზე
2018 წელს ჩატარებულ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო:

- ❖ 1394 აზერბაიჯანულენოვანმა მონაწილემ;
- ❖ 1393 სომხურენოვანმა მონაწილემ;
- ❖ 694 რუსულენოვანმა მონაწილემ.

3.2.1.2 სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

XI კლასის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე საგამოცდო ენად აირჩია:

- ❖ აზერბაიჯანული ენა - 1257 მოსწავლემ, მათგან 851 მოიპოვა დადებითი შეფასება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელ ყველა საგანში;
- ❖ სომხური ენა - 944 მოსწავლემ, მათგან 686 მოიპოვა დადებითი შეფასება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელ ყველა საგანში;

- ❖ რუსული ენა - 849 მოსწავლემ, მათგან 748 მოიპოვა დადებითი შეფასება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელ ყველა საგანში;

XII კლასის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე:

- ❖ აზერბაიჯანული ენა - 2043 მოსწავლემ, მათგან 1026 დადებითი შეფასება მოიპოვა სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელ ყველა საგანში;
- ❖ სომხური ენა - 1491 მოსწავლემ, მათგან 905 დადებითი შეფასება მოიპოვა სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელ ყველა საგანში;
- ❖ რუსული ენა - 1037 მოსწავლემ, მათგან 817 მოიპოვა დადებითი შეფასება სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე ჩასაბარებელ ყველა საგანში.

ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს საქართველოს რეგიონების მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის განხორციელებულ ზამთრის და საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 600-ზე მეტმა მოსწავლემ.

ამოცანა: 3.2.2 არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

წლის განმავლობაში ყურადღება დაეთმო მასწავლებლების გადამზადებას/კვალიფიკაციის ამაღლებას. გაგრძელდა პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“, რომელიც ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის დაძლევას.

3.2.2.1 საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ჩატარება რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე მხოლოდ იმ აპლიკანტებისათვის, რომლებიც ასწავლიან არაქართულენოვან სკოლებში.

საგნის გამოცდაზე და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების ტესტირებაზე:

- ❖ სომხური ენა აირჩია 561 პირმა;
- ❖ აზერბაიჯანული - 494;
- ❖ რუსული -147;

3.2.2.2 ლიდერობის აკადემია 1 და 2-ის ფარგლებში:

- ❖ განსაზღვრული ტრენინგ-მოდულების თარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე;
- ❖ ტრენინგების ჩატარება საჯარო სკოლების არაქართულენოვანი დირექტორებისა და ფასილიტატორებისათვის;

ლიდერობის აკადემია 2-ის 1-2 მოდულების ფარგლებში ტრენინგები დაიწყო 2017 წლის დეკემბერში და დასრულდა 2018 წლის მაისში. ტრენინგს დაესწრო 143 (85%) დირექტორი და 124 (81%) ფასილიტატორი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

ლიდერობის აკადემია 2-ის 3-4-5 ტრენინგ-მოდულები ჩატარდა 2018 წლის აგვისტოში, ტრენინგზე მოწვეული იყო ყველა არაქართულენოვანი სკოლის დირექტორი და ფასილიტატორი. მონაწილეობა მიიღო 151 დირექტორი (84%) და 129 ფასილიტატორი (74%)

ლიდერობის აკადემია 2-ის 6 ტრენინგმოდული ჩატარდა 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ტრენინგზე მოწვეული იყვნენ არაქართულენოვანი სკოლების დირექტორები/ფასილიტატორები. დაესწრო: 167 დირექტორი (84%) და 138 (75%) ფასილიტატორი.

3.2.2.3 მასწავლებელთა საგნობრივი მიმართულების ტრენინგ-მოდულების თარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე

2018 წლის ივნისში დასრულდა საგნობრივი მეთოდის ყველა (6) მოდულის თარგმნა და რედაქტირება აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე

3.2.2.4 ზოგადპროფესიული უნარების კურსის მეორე („მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო - სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“) და მესამე („სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“) მოდულების მიხედვით მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარება; საგნობრივი მიმართულების მოდულების მიხედვით მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარება

ზოგადპროფესიული კურსის მესამე („სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“) მოდულის მიხედვით ტრენინგები ჩატარდა 2018 წლის აპრილი - მაისის პერიოდში და გადამზადდა 1421 (68%) არაქართულენოვანი მასწავლებელი;

3.2.2.5 „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებლების, ქართულის, გეოგრაფიის და ისტორიის დამხმარე მასწავლებლების და ესგ-ით გათვალისწინებული ნებისმიერი საგნის ორენოვანი დამხმარე მასწავლებლების (ე.წ. „1+4“ პროგრამის კურსთდამთავრებული ბაკალავრის) გაგზავნა

სკოლებში მივლინებულ იქნა მასწავლებელთა სამი ჯგუფი:

- ❖ 121 კონსულტანტ-მასწავლებელი;
- ❖ 86 დამხმარე მასწავლებელი;
- ❖ 77 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი;

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით სკოლებში მივლინებული მასწავლებლების რაოდენობა გაზრდილია.

საანგარიშო პერიოდში ტრენინგი მოდულით „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ გაიარა 548 პედაგოგმა (სამოქალაქო განათლების და დამრიგებლებმა), ასევე, პროგრამა ასწავლე საქართველოსთვის 170-მა მონაწილემ (ჯამში 718 მასწავლებელი).


3.2.2.6 „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ პროგრამის დამხმარე მასწავლებლისთვის და ადგილობრივი მასწავლებლებისთვის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული კონსულტირების გაწევა (საგნის სწავლების მეთოდის მიმართულებით, გაკვეთილის დაგეგმვა, საგაკვეთილო დაკვირვება, თვითშეფასება)

პროგრამის ფარგლებში მივლენილი კონსულტანტ-მასწავლებლების კონსულტირების საფუძველზე ქვეპროგრამის დამხმარე მასწავლებლების და სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლები იუმჯობესებენ პროფესიულ უნარებს; არაქართულენოვანი სკოლის ბაზაზე არაფორმალური სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის ფარგლებში კონსულტანტ-მასწავლებლების და დამხმარე მასწავლებლების მიერ განხორციელდა 1000-მდე პროექტი.

შუალედური მიზანი: 3.3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა: 3.2.1 საშელავათო პოლიტიკის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლიდან მოქმედებს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა, 2010 წელთან (247) შედარებით ექვსმაგია.




3.3.1.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ზოგადი უნარების ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსება, რომლებმაც უნდა ისწავლონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამითა და სწავლა გააგრძელონ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით

2018 წელს ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 1231-მა აბიტურიენტმა. მათ შორის:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 806;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 424;
- ❖ ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე - 1;

სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე მოიპოვა 190-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 96;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 93;
- ❖ ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე - 1.



3.3.1.2. ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამის („1+4 პროგრამის“) ფარგლებში, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის 16 ადგილის განსაზღვრა

2018 წლის მდგომარეობით ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამის („1+4 პროგრამის“) ფარგლებში, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ირიცხება 3 იუნკერი (1 აზერბაიჯანელი, 2 სომეხი). ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ირიცხება 6 იუნკერი (5 აზერბაიჯანელი, 1 სომეხი)

3.3.1.3/3.3.1.8 სსიპ შსს აკადემიის სასწავლო პროგრამების შესახებ/ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის; სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცნობიერების ამაღლების კამპანიას უმაღლესი

განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განკუთვნილი შეღავათებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაიმართა შეხვედრები „ქართულ ენაში მოსამზადებელი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის“ შესახებ ქვემო ქართლის (გარდაბანის მუნიციპალიტეტი - სოფელი ნაზარლო/ქოსალო), კახეთისა (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი - სოფ.: ლამბალო, იორმულანლო, დუზაგრამა) და სამცხე-ჯავახეთის (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - ქ. ახალქალაქი, სოფ.: კუმურდო, დილისკა, კულიგამი, ტურცხი, კარწახი, სულდა) რეგიონებში. საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლები.

3.3.1.4 ცნობიერების ამაღლება სამართალდამცავი უწყებების საქმიანობის შესახებ სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის)

შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი აქტიურ მონაწილეობას იღებს სატელევიზიო და რადიო გადაცემებში, მათ შორის რეგიონებში; რეგულარულად მართავს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს სტუდენტებთან, სკოლის მოსწავლეებთან და სამოქალაქო სექტორთან მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ კუთხით აღსანიშნავია დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შემდეგი აქტივობები:

- ❖ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში 12 შეხვედრა გამართეს. შეხვედრების მიზანი იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი ძალადობის კუთხით მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა, ასევე, ამ კუთხით მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცნობა.
- ❖ თბილისში, მარნეულში, თელავში, ლაგოდეხში, გურჯაანში, დმანისში, ბათუმში, ასევე, სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ოჯახში ძალადობის შესახებ გამართულ შეხვედრებს ჯამში 400-მდე ადამიანი დაესწრო.

3.3.1.5 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის („1+4“ პროგრამის) ფარგლებში სტუდენტთა მიღება

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, 2018 წელს არ განხორციელებულა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე პირთა ჩარიცხვა, რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 17 აგვისტოს N47 გადაწყვეტილებით გაუქმდა სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის ავტორიზაცია.

3.3.1.6. ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი მასალის შემუშავება/გამოცემა: ა) არჩევით საგნებში რუსულ ენაზე; ბ) ზოგად უნარებში აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე ტესტები

ზოგადი უნარების ტესტების უზრუნველყოფა ყველა იმ ენაზე, რომელზეც ჩატარდება გამოცდები

ზოგადი უნარების ტესტი აირჩია:

- ❖ აზერბაიჯანული ენა - 1580 აბიტურიენტმა;
- ❖ სომხური ენა - 602 აბიტურიენტმა;
- ❖ რუსული ენა - 592 აბიტურიენტმა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 ნოემბრის „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესში“ განხორციელებული ცვლილებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნები აღარ ტარდება რუსულ ენაზე.

3.3.1.7. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მათთვის გამოცდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (ღია კარის დღეების ორგანიზება)

ჩატარდა სამი შეხვედრა გარდაბნის, ახალქალაქისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, ასევე თბილისში.

3.3.1.8 სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

იხ. 3.3.1.3

შუალედური მიზანი: 3.4 პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

ამოცანა: 3.4.1 პროფესიულ სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაუმჯობესება, აგრეთვე ზრდასრული მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

არაქართულენოვან სკოლებში განხორციელდა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. ასევე პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების, როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე.

სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით საქმიანობა განაგრძო სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელმაც განახორციელა „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების, განათლების სამინისტროს რესურცენტრების, საჯარო სკოლების თანაშრომლებსა და ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს უფასოდ ისწავლოს სახელმწიფო ენა სკოლის დაქვემდებარებაში არსებულ 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და მობილურ ჯგუფებში, ენის ფლობის A1, A2, A2+, B1, B1+ დონის ფარგლებში.

3.4.1.1 შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და ქ. ახალციხეში არსებულ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „ოპიზარი“ რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაცნობის, შრომის ბაზრისა და მოთხოვნადი პროფესიების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით

3.4.1.2 არაქართულენოვანი მსჯავრდებულებისათვის სახელმწიფო ენის სასწავლო კურსის უზრუნველყოფა

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში N2; N3; N5;N14; N15; N16 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა ქართული ენის სწავლება არაქართულენოვანი მსჯავრდებულებისათვის, სასწავლო პროგრამით „ქართული, როგორც მეორე ენა“. მასში ჩართული იყო 113 ბენეფიციარი:

დაწესებულების დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა
№2 დაწესებულება	15
№16 დაწესებულება	11
№15 დაწესებულება	32
№5 დაწესებულება	19
№17 დაწესებულება	19
№14 დაწესებულება	11
№3 დაწესებულება	6
სულ	113

3.4.1.3 პროფესიულ სასწავლებლებში ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაუმჯობესება, აგრეთვე ზრდასრული მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით საქმიანობა განაგრძო სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელმაც განახორციელა „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით გადამზადდა ეთნიკური უმცირესობის 3386 წარმომადგენელი. „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების ორი ნაკადისთვის ჩატარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი, რომელშიც ჩართული იყო 1080 მსმენელი.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის გეოგრაფიული არეალის გაფართოების მიზნით გამოცხადდა და ჩატარდა მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსი, რომლის შედეგადაც შეირჩა 14 მასწავლებელი;
- ❖ სკოლამ განახორციელა პროექტი - „პროფესიული განათლების ხელშეწყობა ეროვნული უმცირესობებისთვის“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს საქართველოში პროფესიული განათლება, დაეხმაროს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, სრულფასოვნად დაეუფლონ სასურველ პროფესიას, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ღირსეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 10 ჯგუფი. თითოეულმა დაასრულა მუშაობა B1+ დონის კონკრეტული დარგობრივი მიმართულების სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულის შექმნაზე;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა ორი ახალი დარგობრივი მიმართულების - A2+ დონის პედაგოგებისათვის, B1+ დონის - სამოქალაქო განათლება - პროგრამა, რომელთა ფარგლებშიც სწავლება საპილოტე რეჟიმში განხორციელდა ქუთაისში, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ორ ჯგუფში (სულ ეთნიკური უმცირესობის 26 წარმომადგენელი), მათგან წარმატებულ 18 კურსდამთავრებულს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 10 ახალი დარგობრივი მიმართულების B1+ დონის - პროგრამა: საექთნო საქმე, პედაგოგებისათვის, საბუღალტრო აღრიცხვა, აგრონომია, ელექტრობა, სასურსათო ტექნოლოგიები, ტურიზმი, მშენებლობა, მეცხოველეობა და ტრანსპორტი;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განვითარების, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის, პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარების, პედაგოგთათვის დარგობრივი მიმართულებით სწავლების განსახორციელებლად ტრენინგის ჩატარებისა და პედაგოგთა შეფასების მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქუთაისში: მარტში - 2დღიანი, 15 კაცის შემადგენლობით; ივნისში - 4-დღიანი, პროექტში ჩართული 50 პედაგოგისა და რეგიონული სასწავლო ცენტრების ადმინისტრატორთა მონაწილეობით;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, სწავლა დაასრულა 2017 წელს ჩარიცხულმა 81 ჯგუფის 1072-მა და 2018 წელს ჩარიცხულმა 145 ჯგუფის, ეთნიკური უმცირესობების 2058-მა წარმომადგენელმა;
- ❖ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში ყოველთვიურად ტარდებოდა საბოლოო გამოცდა (ტესტირება-გასაუბრება), რომელსაც ესწრებოდნენ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის წარმომადგენლები და გამომცდელები;

- ❖ სკოლის ათივე რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და მობილურ ჯგუფებში განხორციელდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- ❖ 2018 წელს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში ჩაირიცხა ეთნიკური უმცირესობების 3400 წარმომადგენელი, შეიქმნა 246 სასწავლო ჯგუფი, მათგან 171 - მობილური ჯგუფი 10 ქალაქსა და 67 სოფელში;
- ❖ 2018 წლის სექტემბრიდან ჟვანიას სკოლა სახელმწიფო ენის კურსებს ახორციელებს საველე-საწვრთნელ ბაზებზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც საწყის საბრძოლო მომზადებას გადიან. A1 დონის ენის კურსი გაიარა ეთნიკური უმცირესობის 300- მმა წარმომადგენელმა;
- ❖ სსიპ-ის ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ UNHCR-ის რეგიონულ წარმომადგენლობასთან ერთად განახორციელა პროექტი - „ისწავლე ქართული აუდიო გაკვეთილებით“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა კომპაქტდისკი, 12 აუდიო გაკვეთილითა და შესაბამისი ილუსტრაციებით. კურსი დაეხმარება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ, თავშესაფრის და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებზეც ვრცელდება UNHCR-ის მანდატი ქართული ენის საბაზისო ცოდნის მიღებაში;
- ❖ სკოლის მიერ მომზადებული ყველა სახელმძღვანელო და აღნიშნული აუდიო გაკვეთილები განთავსდება სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე www.zspa.ge (აუდიო გაკვეთილები აგრეთვე UNHCR-ის პარტნიორ ვებ-გვერდებზე). ელექტრონული რესურსები უფასოა ნებისმიერი მსურველისთვის;
- ❖ სახელმწიფო ენის პოპულარიზების მიზნით სკოლამ გამოაცხადა ესეების კონკურსი - „ჩვენი თაობის პრივილეგია“, დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები;
- ❖ საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მოკლევადიანი სპეციალიზებული სასწავლო ტრენინგ კურსები, ასევე გასვლითი ტრენინგ კურსი, სულ 16 მიმართულება;
- ❖ საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამით 2018 წელს ისარგებლა 307-მა პირმა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის 48 წარმომადგენელმა;
- ❖ განხორციელდა ტრენინგ კურსი „საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა“ 9 მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი, ბოლნისი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ლანჩხუთი, ჩხოროწყუ, წალკა, ჭიათურა, ქუთაისი) და მასში მონაწილეობა მიიღო და სერტიფიკატი გადაეცა 193 მსმენელს;
- ❖ განხორციელდა ტრენინგ კურსები „ადამიანური რესურსების მართვა“ და „საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია“ კახეთის რეგიონში, მასში მონაწილეობა მიიღო 22-მა სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მერიის, საკრებულოსა და გუბერნიის თანამშრომლებმა;
- ❖ განხორციელდა ტრენინგ კურსები „მოქალაქეთა ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები“ რუსთავში, მასში მონაწილეობა მიიღო 10-მა პირმა;

- ❖ კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამით გადამზადდა 82 საჯარო მოსამსახურე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ეპარქიაში.

3.4.1.4 პროფესიული ტესტირების ჩატარება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე, განმცხადებელთა მიერ მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შემთხვევაში

2018 წელს გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე საგამოცდო საგნის ენად აირჩია/გამოცდაზე გამოვიდა:

- ❖ აზერბაიჯანული ენა - 10 აპლიკანტმა და მათგან სწავლის უფლება მოიპოვა 7 აპლიკანტმა.
- ❖ სომხური ენა - 3 აპლიკანტმა;
- ❖ რუსული ენა - 26 აპლიკანტმა და მათგან სწავლის უფლება მოიპოვა 14 აპლიკანტმა.

2018 წელს შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე საგამოცდო საგნის ენად აირჩია:

- ❖ აზერბაიჯანული ენა - 12 აპლიკანტმა, მათგან სწავლის უფლება მოიპოვა 10 აპლიკანტმა;
- ❖ სომხური ენა - 7 აპლიკანტმა და მათგან სწავლის უფლება მოიპოვა 4-მა;
- ❖ რუსული ენა - 34 აპლიკანტმა და მათგან სწავლის უფლება მოიპოვა 18-მა;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე გავლის მიზნით დარეგისტრირდა 123 პირი.

3.4.1.5. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

მარნეულის მუნიციპალიტეტში დაწყო მოსამზადებელი სამუშაოები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, კერძოდ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიზნით. შეირჩა სამი ლოკაცია, შესაბამისი სამუშაოების საფუძველზე იდენტიფიცირდა აღნიშნული სამი ლოკაციიდან ერთი, რომელზეც განთავსდება ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი შენობა-ნაგებობა. დაიგეგმა ინფრასტრუქტურული სამუშაოების წარმოებისათვის შესაბამისი ეტაპები.

3.4.1.6. ქართული ენის მოდულის სწავლების უზრუნველყოფა იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს არაქართულ ენაზე

2018 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის მოდულის სწავლებაში ჩაერთო 44 პირი.

3.4.1.7 სტაჟირება „1+4 პროგრამით“ მოსარგებლე პირებისთვის - იხილეთ 1.3.2.3-1.3.2.4

3.4.1.8 ეთნიკური უმცირესობების ზრდასრული წარმომადგენლებისათვის ენობრივი ბარიერის დაძლევის მიზნით, ქართული ენის შემსწავლელი კურსების უზრუნველყოფა

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დაარსებულ „მეგობრობის სახლში“ ქართული ენის სწავლების პროგრამა გრძელდება. აღნიშნული პროექტი პრეზიდენტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება. პროგრამა 2017 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო. 2017 წ. 132 მსმენელიდან წარჩინებით დაასრულა 110 მსმენელმა და გადაეცათ დამადასტურებელი სერტიფიკატები. 2018 წელს შეიცვალა კურსის ხანგრძლივობა და 2 თვეს მოიცავს, მეცადინეოები კვირაში 3 დღე მიმდინარეობს. 230 მსმენელიდან კურსი წარჩინებით დაამთავრა 210-მა და გადაეცათ კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

სტრატეგიული მიზანი 4

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება

შუალედური მიზანი: 4.1 კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლისა და მნიშვნელობის ასახვა

ამოცანა: 4.1.1 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნებისაკენ მიმართული საქმიანობის გაუმჯობესება; კოორდინაციის უზრუნველყოფა რეგიონულ და ადგილობრივ ერთეულებთან

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარება/პოპულარიზაციას და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით გაგრძელდა მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

4.1.1.1 კულტურული მრავალფეროვნების დღე - „პანკისობა“, ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართული ღონისძიებები, ლტოლვილთა საერთაშორისო დღე, ლიტერატურული საღამოები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები

4.1.1.2 სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩასატარებელ კულტურულ ღონისძიებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველყოფა - დაგეგმილია 154 ღონისძიების ჩატარება - 3633490 ლ

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ფუნქციონირებს საკლუბო დაწესებულებები, შექმნილია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები,

ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლები. ახალქალაქში და ახალციხეში ფუნქციონირებს სამხატვრო სკოლები, რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო გამოფენებში. ამასთანავე, კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით არაერთი ღონისძიება ჩატარდა, კერძოდ: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - 55 ღონისძიება, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში - 59 ღონისძიება, ახალციხის მუნიციპალიტეტში - 41 ღონისძიება, ბორჯომის მუნიციპალიტეტში - 4 ღონისძიება, ასპინძის მუნიციპალიტეტში - 2 ღონისძიება.

4.1.1.3 ეთნიკურ უმცირესობათა სსიპ ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა - სპექტაკლები, გასტროლები, გამოფენები, გამოცემები, კონცერტები

მუზეუმების ხელშეწყობა:

- ❖ **სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანულმა კულტურის მუზეუმმა** უმასპინძლა აზერბაიჯანელი ბავშვების ნამუშევრების გამოფენას და აზერბაიჯანელი ახალგაზრდა მხატვრის, ფუად ბაბაზადეს ნახატების პერსონალურ გამოფენას, 2 დოკუმენტური ფილმის ჩვენებას, 2 კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებას, 2 - წიგნის პრეზენტაციას. წლის განმავლობაში დაფინანსდა 37 000 ლარით;
- ❖ **სსიპ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმმა** 2018 წლის განმავლობაში 40-მდე ღონისძიება ჩატარა საქართველოს ებრაელთა ისტორიის წარმოსაჩენად და ქართულ-ებრაული მეგობრული ურთიერთობების განვითარებისათვის: შეხვედრები, საღამოები, ლექციები, პერსონალური გამოფენები, კონცერტები. მუზეუმის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ჩატარდა მუზეუმში აქცია - "ღამე მუზეუმში", რომელიც მიემდგვნა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 70-სა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავს. წლის განმავლობაში მუზეუმის მუდმივი და დროებითი ექსპოზიცია დაათვალიერა 2800-მა ვიზიტორმა, ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 2000-მა მონაწილემ. წლის განმავლობაში დაფინანსდა 115 000 ლარით.
- ❖ **სსიპ სმირნოვების მუზეუმმა** წლის განმავლობაში 14 ღონისძიებას უმასპინძლა: პოეზიის საღამოებს, კინოჩვენებებს, ლექციებს, ექსპოზიციებს. ევროპის მემკვიდრეობის დღის ფარგლებში გამოიფინა მუზეუმში დაცული გერმანული ექსპონატები. წლის განმავლობაში დაფინანსდა 63216 ლარით.

თეატრების ხელშეწყობა:

- ❖ **სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანულმა პროფესიულმა** სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, **სსიპ ალექსანდრე გრიბოედოვის** სახელობის პროფესიულმა რუსულმა დრამატულმა თეატრმა, **სსიპ პეტროს**

ადამიანის სახელობის სომხურმა დრამატულმა თეატრმა გამართეს ჯამში 192 სპექტაკლი, მათ შორის სტაციონარზე 142, 7 პრემიერა, გასვლითი რეგიონში 34, საგასტროლო სპექტაკლი 16- სულ წლის განმავლობაში სპექტაკლებს დაესწრო 39767 მაყურებელი. წლის განმავლობაში დაფინანსდა 215 000 ლარით;

- ❖ სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო სომხური პროფესიული თეატრი წლის განმავლობაში დაფინანსდა 400 000 ლარით;
- ❖ სსიპ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი წლის განმავლობაში დაფინანსდა 1 900 000 ლარით;

4.1.1.4/4.2.1.3 კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა;

თბილისის საკრებულო, “ეროვნული უმცირესობების საბჭოს” მეშვეობით, ჩართულია ერევნული უმცირესობების კულტურული ცხოვრებაში და მათთან ერთად აღნიშნავს ყველა მნიშვნელოვან დღესასწაულს: “ნოვრუზ ბაირამი”, ყვავილების ფესტივალი “ვარდატონი”, წარმატებული ქურთი-ეზიდის ქალების დაჯილდოება, ლატვიელი მხატვრების ხსოვნის საღამო, „უკრაინული გაზაფხული ჩემს ქუჩაზე და სხვა.საანგარიში პერიოდის განმავლობაში თბილისის საკრებულომ 10-მდე სხვადასხვა ღონისძიება ჩაატარა

შუალედური მიზანი: 4.2 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

ამოცანა: 4.2.1 ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვა

4.2.1.1 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდაფინანსებით, გერმანული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ პუბლიკაციის - „გერმანელ კოლონისტთა არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში“ - გამოცემა (3 ენაზე) და საჯარო პრეზენტაციები თბილისსა და რეგიონებში; ფრანგფურტის ბაზრობაზე წარდგენა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადაფინანსებით გამოიცა გერმანული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სამენოვანი პუბლიკაცია - „გერმანელ კოლონისტთა არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში“.

4.2.1.2 გამოფენა „რელიგიები საქართველოში“ - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში 2018 წლის 30 იანვრიდან 30 მარტამდე გაიმართა გამოფენა „რელიგიები საქართველოში“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა რელიგიის წმინდა წიგნები და ლიტერატურა, რელიგიური სამოსი და ატრიბუტიკა, ისტორიული ფოტოები და დოკუმენტები. გამოფენის მიზანს წარმოადგენდა რელიგიური ორგანიზაციების ცნობადობის გაზრდა, შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცება.

4.2.1.3 - იხ. 4.1.1.4

4.2.1.4 პროექტ „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში გაცნობითი ტურის მოწყობა ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით

პროექტ „შემოიარე საქართველოს“ ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტში ჩატარდა გასვლითი ტურები, სადაც მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობის 35მა ახალგაზრდამ, სულ ჩატარდა 9 ტური. ასევე ქვემო ქართლის გუბერნატორის ინიციატივით ჩატარდა მედია ტური დმანისის და ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სადაც მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ჟურნალისტები;

შუალედური მიზანი: 4.3. კულტურული მრავალფეროვნების წახალისება

ამოცანა: 4.3.1 კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება

გაიმართა არაერთი ღონისძიება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობების კულტურის გაცნობა/პოპულარიზაციას, კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობას.

4.3.1.3 ინტერკულტურული პროგრამებისა და სპორტული ღონისძიებების ჩატარება პენიტენციურ დაწესებულებებში

2018 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 176 კულტურული და 39 სპორტული ღონისძიება. ღონისძიებებში, სხვა მსჯავრდებულებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

4.3.1.4 პოეტ მაია მარგოშვილის ლექსებისა და ნოველების კრებული პრეზენტაცია

იხილეთ პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა

4.3.1.5 მხატვარ ვარაზდატ მინასიანის ნახატების გამოფენა

4 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მხატვარ ვარაზდატ მინასიანის ნახატების გამოფენა გაიმართა.

დამატებითი ღონისძიებები:

- ❖ ეთნიკური მრავალფეროვნების ინტერაქტიული რუკის პრეზენტაცია - 2 მარტს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში „ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი“ საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების ინტერაქტიული რუკის პრეზენტაცია გაიმართა;
- ❖ მზია ხეთაგურის პოეტური კრებული პრეზენტაცია - 26 აპრილს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მზია ხეთაგურის პოეტური კრებულის „უფლების უფლება“ წარდგენა გაიმართა;

- ❖ ბიბლიოთეკის გახსნა სოფ. ზანავში - 7 მაისს ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა "ეკვილიბრიუმი" ადიგენის მუნიციპალიტეტის მულტიეთნიკურ სოფელ ზანავს ეწვია. ზანავის სპორტულ-კულტურულ ცენტრში ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა;
- ❖ ღონისძიება „ქალის როლი სხვადასხვა ეთნოსებსა და რელიგიაში“ - 1 ნოემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ღონისძიება „ქალის როლი სხვადასხვა ეთნოსებსა და რელიგიაში“.

4.3.1.9 კონკურსი ცენტრსა და რეგიონებში კულტურული ღონისძიებების და საერთო კულტურულ ცხოვრებასთან ინტეგრირების ამსახველი კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსების შედეგად დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ❖ „ვარ ჩემი საქართველოს მხატვარი - ბასე ჯაფაროვა - 75“ - ა(ა)იპ ქალთა უფლებების სათემო ინიციატივა - პროექტის ფარგლებში მოეწყო პირველი იეზიდი მხატვარი ქალბატონის, ბასე ჯაფაროვას ნამუშევრების გამოფენა, რომლის ნამუშევრები გამოიფინა ქ. თბილისში, თელავსა და ბათუმში;
- ❖ „ბოშათა კულტურის ფესტივალი“ - ა(ა)იპ განიარაღება და არამალადობა - ქ. თბილისში გაიმართა ბოშათა ორ დღიანი ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სემინარები, კონფერენცია და გაიმართა ბოშური კულტურის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღეს ბოშათა თემის წარმომადგენელმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა;
- ❖ „უძველესი ტრადიციების ერთგულნი“ - ასურული ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნინეფა“ - პროექტი ფარგლებში გაიმართა საქართველოში მოღვაწე ასურელი ექიმის, მთარგმნელის ფრეიდუნ ათურაიას (ბით-აბრამ) შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა აშშ-დან, ნიდერლანდებიდან, შვედეთიდან. მოეწყო ფ. ათურაიაზე გადაღებული ფილმის ჩვენება, პოეზიის საღამო, გაიმართება კონცერტი;
- ❖ „ლესია უკრაინკას კვალი საქართველოში“ - ა(ა)იპ ჟურნალისტთა კავშირი „ქართულ-უკრაინული პრესისა და წიგნის სახლი“ - პროექტის ფარგლებში კვლევითი სამუშაოს ჩატარების შედეგად დადგინდა ტურისტული ბილიკი „ლესია უკრაინკას კვალი საქართველოში, გამოიცა გზამკვლევი-ბუკლეტი ტურიტებისთვის, გიდებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, ჩატარდა მასტერკლასები უკრაინული ტრადიციული ნაქარგების თემატიკაზე;
- ❖ „მინაში გაცოცხლებული ორნამენტი“ - შპს „არტ ფიუზინგ გლას“ - პროექტი ითვალისწინებდა ახმეტის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის მინაზე მუშაობის ტექნიკისა და ტრადიციული ორნამენტების დამუშავების შემსწავლელი კურსის ჩატარებას. 29 ივლისს კვეტერის ციხე-ქალაქში გაიმართა ფესტივალი „კვეტერობა“ და მოეწყო ეთნიკურ უმცირესობათა მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.
- ❖ „კულტურათაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობა“ - კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი - ქალაქ ახმეტაში, ილტოს ხეობაში მდებარე ციხე-სიმაგრე

კვეტერას ტერიტორიაზე მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კუთხის და ეთნოსის კულტურა, მათ შორის: ხელნაკეთი ნივთები, აგრო-პროდუქცია, თექის, თიხის, ქსოვის ნიმუშები, ადგილზე მომზადებული ტრადიციული კერძები, გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით;

- ❖ „სომხური ტრადიციული დღესასწაული „კათნაპური“ - ა(ა)იპ კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრი „ჰაირატუნ“ - პროექტის ფარგლებში, ნინოწმინდაში, სოფელ პატარა ხანჩალში აღინიშნა „ყვავილების დღესასწაული“, ანუ „კათნაპური“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნინოწმინდის კულტურის სახლის მუსიკალურმა ანსამბლებმა, „ჰაირატუნ“-ის ცენტრის ახალგაზრდა ხელოვანებმა, სოფელ პატარა ხანჩალის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ქართულ და სომხურ ენებზე წარმოდგენილ იქნა დღესასწაულის ისტორია და ტრადიცია;
- ❖ „კულტურისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ალიხან ბინათოღლის საიუბილეო საღამო და აზერბაიჯანული ფოლკლორისა და ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა და მასტერკლასი“ - ა(ა)იპ კავშირი „დემოსი“ - პროექტის ფარგლებში ქ. მარნეულში, მოეწყო ფესტივალი „სხვა საქართველო სად არის“, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდებს და ახალგაზრდობას შეასწავლოს ქართული სიმღერა. ფესტივალის ფარგლებში აღინიშნა აზერბაიჯანული კულტურის დღე და გაიმართა ალიხან ბინათოღლის საიუბილეო საღამო, მოეწყო მისი საქმიანობის ამსახველი ფოტომასალის გამოფენა;
- ❖ „სახალხო დღესასწაული „კოსტაობა“ - ა(ა)პ კავკასიური მოზაიკა - პროექტის ფარგლებში, ლაგოდეხში, სოფელ არაშფერანში გაიმართა სახალხო ზეიმი „კოსტაობა“. გაიმართა დოლი, სხვადასხვა სახის სპორტული და კულტურული ღონიძიებები, ადგილობრივი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა, ქართული და ოსური კერძების დეგუსტაცია;
- ❖ „ძველი თბილისის თეატრალურ-ლიტერატურული ბოჰემა“ - სომხური, ებრაული და აზერბაიჯანული კულტურული ტრადიციები“ - ა(ა)იპ სუდია „ასტეროიდი“ - მ. თუმანიშვილის თეატრში გაიმართა ორი წიგნის - იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ და ცნობილ თბილისელი აშულ პოეტზე საიათნოვაზე რარიტეტული გამოცემების წარდგინება, გაიმართა ებრაული, აზერბაიჯანული და სომხური ფოლკლორის, ქორეოგრაფიის, რიტუალების, ტრადიციების ამსახველი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია-პერფომანსი „ჩრდილების თეატრის“ ეფექტების გამოყენებით. ფოიეში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების მიერ შექმნილი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებისა და ფოტო გამოფენა;
- ❖ „მემორია“ (სერგო ჩახოიანცის (1924-2009) გამოფენის მოწყობა) - შპს „იარტი“ - პროექტის ფარგლებში მოძიებულ იქნა ს. ჩახოიანცის ნამუშევრები, მოეწყო გამოფენა (50 ფერწერული და 50 გრაფიკული ნამუშევარი). გამოიცა ალბომი.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს 2500 - მდე ადამიანი დაესწრო.

4.3.1.10 კონკურსი ეთნიკურ უმცირესობათა ყოფაცხოვრების და კულტურული თვითმყოფადობის და ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ამსახველი ალბომების გამოსაცემად

- ❖ მომზადდა წიგნი - ალბომი „პანკისი და ქისტები“, რომლის მიზანია ქისტების მატერიალური კულტურის პოპულარიზაცია საქართველოსა და უცხოეთში;
- ❖ სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ მომზადდა და გამოიცა წიგნი „ქართულ-ბერძნული ურთიერთობები“;
- ❖ სსიპ თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმის მიერ გამოსაცემად მომზადდა წიგნი - ალბომი „ევროპელი მხატვრები“ - პროექტის მიზანია სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო კოლექციებში დაცული საქართველოში მოღვაწე ევროპელი მხატვრების ნამუშევრების შეგროვება და ერთ გამოცემაში თავმოყრა;
- ❖ სსიპ თბილისის სახელობის კონსერვატორიის საქმიანობის ფარგლებში - მომზადდა წიგნი - ალბომი „ქისტების ტრადიციული მუსიკა“.

4.3.1.11 პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“

განხორციელდა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას ისახავდა მიზნად. ღონისძიებები ჩატარდა ბოლნისში, მარნეულში, ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, გარდაბანში, პანკისის ხეობაში

პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები (სალექციო კურსი) მწერლებთან, მეცნიერებთან, ხელოვანებთან შემდეგ თემებზე: პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავი; ალექსანდრე ყაზბეგი - 170; ოთარ ჭილაძე - 85; ქართული კინო - 110; ევროპული მემკვიდრეობის წელი და სხვ.;

მარნეულში აღინიშნა შოთა რუსთაველის დღე (15 მაისი);

პროექტი „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში:

- ❖ ჩატარდა 19 ლექცია/სემინარი; სხვადასხვა სახის (11) გამოფენა ადგილობრივი და დედაქალაქიდან ჩასული ხელოვანების მონაწილეობით;
- ❖ ბოლო დროის მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური და მხატვრული ფილმების (7) ჩვენება - ფილმების განხილვა;
- ❖ კონცერტი (2) და სპექტაკლები (3);

პროექტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს 6 000-მდე ბენეფიციარი დაესწრო.

4.3.1.12 კულტურული მრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

21 მაისს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე საქართველოს გაეროს ასოციაციის მხარდაჭერით თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიმართა კულტურული მრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა. ღონისძიების ფარგლებში 7 მუნიციპალიტეტში

(მარნეულში, გარდაბანში, ახალციხეში, ნინოწმინდაში, დუისში, ჯოყოლოსა და ბირკიანში) გაიმართა კონცერტები და თემატური შეხვედრები.

4.3.1.13 მრავალეთნიკური ხლოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“

2010 წლიდან, ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ ტარდება მრავალეთნიკური ხლოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი", რომელშიც მონაწილეობას იღებენ ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები. წლის განმავლობაში კონცერტი გაიმართა ქ. თელავის სამუსიკო სასწავლებელში (160 მონაწილე) და ქ. თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში (200 მონაწილე).

4.3.1.14 პირველი ქისტი განმანათლებლისა და სასულიერო პირის მათე ალბუთაშვილის დაბადებიდან 165 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო

იხილეთ ქვეთავი - „პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა“

4.3.1.15 ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში დაგეგმა და განახორციელა მრავალფეროვანი პროგრამა: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საჯარო ლექცია, შეხვედრა გაიმართა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ (1+4 პროგრამის) მონაწილე სტუდენტებსა და სტაჟიორებთან ქ. თბილისში, ასევე წალკის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან. საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ოფიციალური მიღება, სადაც წარმოდგენილი იყო სახელმწიფო მინისტრის აპარატის ახალი პროექტის „გაიცანი მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში მომზადებული ვიდეო-კლიპები (5 ვიდეო-კლიპი). პროექტი „გაიცანი მრავალფეროვანი საქართველოს“ მიზანია წარმოაჩინოს და საზოგადოებას გააცნოს საქართველოში მცხოვრები წარმატებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში მომზადდა ასევე პერფორმანსი თემაზე “ჩემი მრავალფეროვანი სამშობლო“, რომლის ჩვენებაც გაიმართა თბილისში, ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მიღებაზე და ასევე ქ. ახალციხეში, ტოლერანტობის კვირეულის დასკვნით ღონისძიებაზე.

4.3.1.16- 4.3.1.19 გაინახური ფოლკლორის ფესტივალი ქალაქ ფოთში

იხილეთ ქვეთავი - „პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა“

4.3.1.17 ქისტი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის - გიგი ხორნაულის 80 წლის იუბილე პანკისის ხეობაში

იხილეთ ქვეთავი - „პანკისის ხეობის განვითარების პროგრამა“

4.3.1.20 მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საჭიროების შესწავლა

საჭიროებების შესწავლის მიზნით ჩატარდა შეხვედრები პანკისის ხეობაში, კერძოდ: დუისში, ომალოში, ჯოყოლოში და ქ. ახმეტაში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან (უზუცესთა საბჭოს წევრები, ქისტ ქალთა საბჭოს წევრები, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები);

4.3.1.21 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფროსკლასელების ვიზიტი შსს აკადემიასა და დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში

„ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა სასწავლო ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროექტის „ახალგაზრდა ევროპელ ელჩების“ მონაწილეებმა და პანკისელმა მოსწავლეებმა (50 მონაწილე);

4.3.1.22 ესეების კონკურსი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის

- ❖ ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების მოსწავლეებისთვის ჩატარდა ქართულენოვანი სპექტაკლების კონკურსი სახელწოდებით „ჩემი პირველი ქართული როლი“. კონკურსის მიზანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა, სახელმწიფო ენაზე სამეტყველო კომპეტენციების განვითარება და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა იყო. საკონკურსო ნამუშევრების (სპექტაკლების) შეფასების კომისიის მიერ სამი საპრიზო ადგილი და ჟიურის სიმპათია გამოვლინდა. დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები;
- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით განხორციელდა ქართული კალიგრაფიის კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება. კონკურსში ქვემო ქართლის რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების II-XII კლასის 800-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. მათგან 64 გამარჯვებული გამოვლინდა. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა კალიგრაფიის ხელოვნების პოპულარიზაცია, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისათვის.

4.3.1.24 პროექტის „თბილისის მეგობრობის სახლის“ ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში აქტიური საქმიანობა განაგრძო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულმა „მეგობრობის სახლმა“, რომლის ხელშეწყობით ჩატარდა 20-მდე კულტურულ-შემეცნებითი სახის ღონისძიება.

4.3.1.25 ბათუმში მოქმედ ეთნიკური უმცირესობების მიერ დაგეგმილი 50-ზე მეტი ღონისძიების დაფინანსება

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსდა 30-მდე სხვადასხვა სახის ღონისძიება.

4.3.1.26 სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომები

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც 2017 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში და 2018 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს.

დამატებითი საჭიანობა

- ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში, დემოკრატიული გზით არჩეული პირველი მუსლიმი ქალის - ფარი-ხანუმ სოფიევას მემორიალი გაიხსნა. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ძირითად მაზრებში საეროებო არჩევნები ჩატარდა. მათ შორის თბილისის მაზრაში, ყარაიაზის ოლქში. წამყვანი პარტიების - სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების, “ჰუმმეთის”, ეროვნულ-დემოკრატებისა და ესერების კანდიდატებს უპარტიო კანდიდატმა, ეთნიკურად აზერბაიჯანელმა მუსლიმმა ქალმა ფარი-ხანუმ სოფიევამ აჯობა და თბილისის სამაზრო ერობის მეხუთე ხმოსანი გახდა ყარაიაზის ოლქიდან. მის სახელს მიაწერენ არაერთ საქმეს. მათ შორის, მშობლიურ სოფელში რკინიგზის სადგურის აშენებას.
- ❖ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პანკისის ხეობის სოფელ დუისში გაიმართა შეხვედრა ხეობის პედაგოგებთან;

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა საქართველოში მცხოვრები თანამედროვე აზერბაიჯანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა. აზერ მოსაოღლუს, ალი ალიევის, რასიმ გასანოვისა და რიზვან ისმაილოვის სხვადასხვა თემატიკაზე შესრულებულ ნამუშევრებს გიორგი ლეონიდის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა უმასპინძლა.

რეკომენდაციები

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშმა გარკვეული პოზიტიური ტენდენციები გამოავლინა. წლის განმავლობაში არაერთი ახალი ინიციატივა განხორციელდა და ისეთი კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგა სამოქმედო გეგმის შესაბამისად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა

მხარდაჭერის და გაძლიერების მიზნით, რაც ემსახურებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩრთულობის გაზრდას/გაუმჯობესებას, ეთნიკური უმცირესობების კულტურის შენარჩუნებასა და ქვეყანაში ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას. ამავდროულად, წარმოჩინდა გამოწვევები, რის დასაძლევად უნდა გაგრძელდეს აქტიური საქმიანობა, იკვეთება გარკვეული მიმართულებების გაძლიერების საჭიროება. სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების მისაღწევად უახლოეს პერიოდში მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

სტრატეგიული მიზანი - თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში:

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გაზრდის მიზნით მეტად ინტენსიური გახდეს ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციებში საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობას. ანალოგიური საკონსულტაციო საბჭო ჩამოყალიბდეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში, ასევე შეიქმნას მუნიციპალურ დონეზე ანალოგიური საკონსულტაციო საბჭოები უფრო ფართე მონაწილეობით;
- განხორციელდეს საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ ბენეფიციართათვის არსებული სტაჟირების პროგრამის კვლევა მისი განვითარების მიზნით, მომზადდეს რეკომენდაციები;
- ადგილობრივ თვითმმართველობებში, საჭიროებისამებრ, ეთნიკური უმცირესობების ენებზე დოკუმენტაციასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- გაგრძელდეს იმ ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებას მათი თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობის მიზნით;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის წარიმართოს შეხვედრები ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესახებ, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო მექანიზმების, ასევე, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში ამ მიმართულებით აღებული ვალდებულებების შესახებ.

ამოცანა- მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა:

- გაგრძელდეს მცირერიცხოვანი უმცირესობების ენების სწავლება. შესაბამისად, განხორციელდეს პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ამ ენების სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ხელი შეეწყოს უდიური ენის სწავლების გაძლიერებას დამატებითი რესურსების მომზადებას;
- აქტიური საქმიანობა წარიმართოს პანკისის ხეობის სტრატეგიული განვითარების პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;
- გაგრძელდეს ბოშა მოსახლეობის რეგისტრაციის პროცესი;
- ხელი შეეწყოს ბოშათა თემის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

- განხორციელდეს აქტიური საინფორმაციო კამპანია ბოშა მოსახლეობისთვის სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისების შესახებ.

ამოცანა- გენდერული მენსტრიმინგი:

- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წარმართოს ინტენსიური საინფორმაციო/ცნობიერების კამპანია გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ადრეული ქორწინების, ოჯახური ძალადობის, ტრფიკინგის საკითხებზე;
- ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მიზნით განხორციელდეს სასწავლო სემინარები და ტრენინგები.

სტარტეგიული მიზანი - თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა:

- შემუშავდეს და განხორციელდეს საჭიროებებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას;
- წარმართოს საინფორმაციო/ ცნობიერების ამაღლების კამპანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ

სტარტეგიული მიზანი- ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება:

- სკოლამდელი მზაობის პროგრამის დანერგვა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;
- მოწესრიგდეს სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურა;
- განხორციელდეს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა;
- შესწავლილ იქნეს სოფელ წოფის საჯარო სკოლა და განისაზღვროს მისი მშენებლობა/რეაბილიტაციის საკითხი;
- არაქართულენოვან სკოლებში მოწესრიგდეს სახელმძღვანელოების თარგმანის საკითხი;
- არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგ-მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაგრძელდეს მათი გადამზადება;
- გაგრძელდეს 1+4 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. პროგრამასთან დაკავშირებით წარმართოს საინფორმაციო კამპანია. მომზადდეს აღნიშნული პროგრამის საბაკალავრო საფეხურის კვლევა კონკრეტული რეკომენდაციებით;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები;
- ინტენსიურად გაგრძელდეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების განხორციელება კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისთვის
- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად შემუშავდეს ერთობლივი ინიციატივები, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას და მიმართული იქნება ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებისკენ.

სტარტეგიული მიზანი- ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება:

- გაგრძელდეს ეთნიკური უმცირესობების თეატრების, მუზეუმების, კულტურის ცენტრების მხარდაჭერა;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს პროგრამები და ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს კულტურათშორის დიალოგს და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებას.

მიმართულება - საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია:

- წარიმართოს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის განათლების, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის საკითხებზე;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდოს სრული ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისა და პერსპექტივების შესახებ. მომზადდეს და გავრცელდეს შესაბამისი მასალები ეთნიკური უმცირესობების ენებზე;
- განხორციელდეს სასწავლო ვიზიტი ბრიუსელში მასწავლებლებისთვის, მათი ევროპული კულტურის, ფასეულობების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივების უკეთ გაცნობის მიზნით.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტარტეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინირების პროცესი:

- პირდაპირი დიალოგის ფორმატში დაიგეგმოს და გაიმართოს უწყებათაშორისი კომისიის გასვლითი სხდომები /შეხვედრები რეგიონებში;
- გააქტიურდეს უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში არსებული თემატური ჯგუფების საქმიანობა.

დანართი 1

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ქვემო-ქართლის რეგიონი

რუსთავი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 10 პროექტი, ჯამური ღირებულებით 9 230 862 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 8 096 398 ლარი.

ბოლნისი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 15 პროექტი, ჯამური ღირებულებით 5 679 483 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 4 055 520 ლარი.

გარდაბანი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 3 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 199 799 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 089 809 ლარი.

დმანისი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 9 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 452 475 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 1 888 579 ლარი.

თეთრიწყარო

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 6 პროექტი, ჯამური ღირებულებით 3 430 449 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 3 262 574 ლარი;
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით 134 265 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 127 551 ლარი.

მარნეული

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 15 პროექტი, ჯამური ღირებულებით 6 533 463 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 3 291 155 ლარი.

წალკა

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 5 პროექტი, ჯამური ღირებულებით 4 206 178 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 3 804 439 ლარი;

- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 150 630 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 143 099 ლარი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ახალციხე

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 13 პროექტი, ჯამური ღირებულებით 7 465 903 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 6 701 639 ლარი;
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 800 000 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 760 000 ლარი.

ადიგენი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 3 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 498 600 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 373 668 ლარი;
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ადიგენის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 638 995 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 607 045 ლარი.

ასპინძა

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 6 პროექტი, ჯამური ღირებულებით 3 101 240 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 946 177 ლარი;
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 830 467 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 788 943 ლარი.

ახალქალაქი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 14 პროექტი, ჯამური ღირებულებით 3 110 622 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 955 085 ლარი;
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 246 800 ლარი, მათ შორის მთის ფონდის თანხა 234 460 ლარი.

ბორჯომი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 7 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 906 107 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 324 884 ლარი.

ნინოწმინდა

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 4 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 303 373 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 2 188 204 ლარი.

კახეთის რეგიონი

ახმეტა

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 16 პროექტი, ჯამური ღირებულებით 3 753 266 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 3 715 929 ლარი.

ლაგოდეხი

- ❖ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 18 პროექტი, ჯამური ღირებულებით 4 066 399 ლარი, მათ შორის რგფ თანხა 3 862 985 ლარი.